ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 25 ივნისი, 2018 №148 (7693) ფასი: 50 თეთრი

ბათუმში ქორწილში 100 სტუმარი მოიწამლა

გვ.7

22 ივნისიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

რატომ დატოვა თეა წულუკიანის მოადგილე სანდრო ბარამიძემ თანამდებობა

გვ.2

„ახალ მთავრობაში ახალი სახეები იქნებიან“

გვ.2

„ოცნების“ ახალი პრემიერი და სავარაუდო პრეზიდენტობის კანდიდატი საერთაშორისო სკანდალში ეხვევიან

გვ.3

ზაალ კასრელიშვილი: „მორიგ სპეცოპერაციას კადიროვი ქვეშო ქართლში ჩაატარებს“

გვ.2

ლევან ალაფიშვილი: „ოპოზიცია მხოლოდ იუსტიციის მინისტრის პორტფელს არ დათანხმდება“

სამართალი

გვ.7

ქართველმა სამართალდამცავებმა რუსეთის მოქალაქე დააკავეს



რას ედავებიან 60 წლამდე მამაკაცს

6 თვის ტყუპებზე მოძალადე ძიძა: „ვაღიარებ, რომ არასწორად მოვიქეცი“

ჯგუფური ყაჩაღობა სენაკში

პოლიციამ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა

ეკონომიკა

გვ.5

მამუკა ბახტაძის ოფიციალური ბიოგრაფიიდან „ცენტრ პოინტ ინვესტში“ მუშაობის წლები წაშლილია

გვ.5

საწვავი კიდევ 2-9 თეთრით გვ.6 გაძვირდა

კახა კალაძე: „კომპანია „სვეტის“ წარმომადგენლები თაღლითურად მოქმედებდნენ“

ISSN 1987-9385

8 უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა ავტოკეფალიას მხარს უჭერს

5 გიგა ბუკია: „კანონმდებლობამ ნარკოტიკების გავრცელებას ხელი არ უნდა შეუწყოს“

8 თეთრი სახლის პრესმდივანი, სარა სანდერსი, რესტორნიდან გამოაგდეს

4 ნანა დევდარიანი: „ვერ მივხვდი, კვირიკაშვილი რატომ გადადგა“

რატომ დატოვა თეა წულუკიანის მოადგილე სანდრო ბარამიძემ თანამდებობა

„ახალ მთავრობაში ახალი სახეები იქნებიან“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ სერიოზული დაპირისპირებაა – მმართველი გუნდი სამთავრობო ცვლილებებზე შეთანხმებას ვერ ახერხებს. კონსულტაციები რამდენიმე დღე გაგრძელდა. მეოცნებენი მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ მთავრობაში ახალი სახეები იქნებიან.

ოპოზიცია, არასამთავრობოები, საზოგადოება და ზოგიერთი მეოცნებეც კი იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის გაშვებას ითხოვს. მმართველ გუნდში არ აკონკრეტებენ, შეელევიან თუ არა მას.

სანამ ერი მის დარჩენა-არდარჩენაზე მკითხაობდა, თანამდებობა იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ დატოვა.

ბარამიძე ამ თანამდებობაზე 2012 წელს დაინიშნა.

ჯერჯერობით უცნობია, უკავშირდება თუ არა ბარამიძის წასვლა წულუკიანის სკანდალებს ან სამთავრობო ცვლილებებს. ბარამიძე განმარტავს,

რომ მისი გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებული იყო.

რაც შეეხება ახალ სახეებს, ერსა და ბერს სიახლეები პარლამენტის სპიკერმა ირაკლი კობახიძემ დაუანონსა.

მისივე თქმით, არსებით და პრინციპულ საკითხებზე გუნდში თანხმობაა.

– ჯერჯერობით საუბარი გვქონდა რეორგანიზაციაზე. ახალ სახეებზე გუნდში გრძელდება მსჯელობა. უახლოეს მომავალში პრემიერ-მინისტრი მსჯელობის საფუძველზე წარმოადგენს რეორგანიზაციის ვარიანტს და მას ეცრება კენჭი პარლამენტში. ამის შემდეგ გაგრძელდება დისკუსია მთავრობის პერსონალურ შემადგენლობასთან დაკავშირებით. არსებით და პრინციპულ საკითხებზე გუნდში თანხმობაა, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის განცხადებით, პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე თავის ყველა გადაწყვეტილებას გუნდთან ათანხმებს.

დეპუტატის თქმითვე, რამდენიმე უწყებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ის ასევე აცხადებს, რომ რიგ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდება.

– ვიმსჯელეთ რეორგანიზაციასთან, სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით, იყო ძალიან საინტერესო დისკუსიები, მათ შორის სხვადასხვა სამინისტროს გაერთიანებასთან დაკავშირებით. იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ფინალში გავედით, ამ კონსულტაციების

დასკვნით ეტაპზე გავედით და საბოლოოდ, ვფიქრობ, შევჯერდებით 11 სამინისტროზე. ეს ყველაზე რაციონალური და შედეგთან მიმართებით პოზიტიური გადაწყვეტილებაა და საზოგადოების ყველა წევრს გამოადგება, საბოლოო ჯამში, ჩემი აზრით, ის, რომ პრემიერი ბახტაძე თითოეულ გადაწყვეტილებას ათანხმებს გუნდთან დეტალურად, – აღნიშნა მამუკა მდინარაძე.

მმართველი გუნდი შეთანხმებას რომ ვერ ახერხებს, ამას პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილიც ადასტურებს. ის ამბობს, რომ რეორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით გუნდის შიგნით აზრთა სხვადასხვაობა იყო.

ამ უთანხმოებას სესიაშვილი ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს და ამ ბუნებრიობის მიზეზებსაც განმარტავს.

– ჩვენ ხელისუფლება ჩავიბარეთ 18 სამინისტროთი. ზოგიერთი სამინისტრო ან სახელმწიფო მინისტრი შექმნილი იყო თავის დროზე კონკრეტული პერსონალიებისთვის. მე პირადად ვიყავი ორი-სამი დღის განმავლობაში ამ პროექტების განხილვის თანამონაწილე. მინდა გითხრათ, რომ სრულად ვუჭერ მხარს, თუმცა ეს არის, ასე ვთქვათ, დასაწყისი, იმიტომ, რომ ჩვენ ფუნქციურად უნდა გადავანაწილოთ სამინისტროები და არა ხელოვნურად შევაერთოთ. აზრთა სხვადასხვაობა არის ბუნებრივი მოვლენა, ეს არავის უკვირს, მით უმეტეს „ქართულ ოცნებაში“, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

„ოპოზიცია მხოლოდ იუსტიციის მინისტრის პორტფელს არ დათანხმდება“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ ივანიშვილი იუსტიციის სამინისტროს ოპოზიციონერს ჩააბარებს და ის ვერ გაატარებს მართლმსაჯულების სისტემაში რეფორმებს, მაშინ ეს ყველაზე კარგი ხელჩასაჭიდი იქნება ივანიშვილისთვის, რომ ოპოზიცია აკრიტიკოს. რამდენად რეალურია ეს ნაბიჯი?

– ეს უკვე არის კოალიციური მთავრობა. კოალიციური მთავრობა, დღევანდელი მოცემულობის გათვალისწინებით, ნამდვილად იქნებოდა გონივრული ნაბიჯი, მაგრამ უნდა მოიძებნოს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც დათანხმდება კოალიციაზე წასვლას, რადგან ეს ნიშნავს პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარებას მმართველ პარტიასთან ერთად.

ამავდროულად, კოალიციური მთავრობა არ ნიშნავს რომელიმე მხოლოდ ერთ სამინისტროს ან რომელიმე ერთი მინისტრის პორტფელის გაყოფას. ამდენად, მხოლოდ იუსტიციის მინისტრთან დაკავშირებით რომ კოალიცია შედგეს, ამაზე ვერ ვიმსჯელებ, არ მგონია, მთლად გონივრული იყოს.

– რატომ?

– თუკი ამაზე წავა მმართველი პარტია და ოპოზიციას შესთავაზებს იუსტიციის მინისტრის პორტფელს, მაშინ იმდენად ძვირის გადახდა მოუწევს, რომ არ მგონია, ვინმე ამაზე დათანხმდეს და ამ მძიმე შედეგებზე პასუხისმგებლობა გაინაწილოს.

რაც შეეხება მართლმსაჯულების რეფორმას, რაც მართლაც არის გამოწვევა, ეს არ არის მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტექსტში განსახილველი საკითხი. თუ საკანონმდებლო ბაზა არ იქნა, რასაც მხარი პარლამენტში სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დაუჭიროს, მაშინ ის ერთი ოპოზიციონერი მინისტრი ვერაფერს გახდება.

რეფორმას საკანონმდებლო უზრუნველყოფა სჭირდება. ამიტომ მთავრობაში მინისტრთა პორტფელების გაყოფა საკმარისი პირობა არ არის. ამიტომაც არის, რომ თუკი რამე წარმატებაა ან ჩავარდნაა, ხელისუფლების აღმასრულებელ ნაწილთან ერთად პასუხისმგებელი საკანონმდებლო ნაწილიც არის. ამდენად, თუ კოალიციური მთავრობა შეიქმნა, საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერის გარეშე ვერანაირი რეფორმა წარმატებული ვერ იქნება.

– დღეს მთავარი პროკურორის თანამდებობა ვაკანტურია. რამდენად შეიძლება, ნეიტრალური მთავარი პროკურორი მივიღოთ?

– მთავარი პროკურორის ნეიტრალურობაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ყურადღების მიღმა გვრჩება ის მოცემულობა, რაც პროკურორთა საბჭოშია, სადაც პოლიტიკა არის განმსაზღვრელი და სადაც სახელისუფლებო პარტია არის დომინანტის როლში წარმოდგენილი. ასე რომ, პრობლემა სისტემურია და არა – ადამიანური ფაქტორებიდან გამომდინარე. ეს არის პირველ რიგში საფიქრი და გადასაწყვეტი. რამდენად არის პროკურატურის სისტემა პოლიტიკურად ნეიტრალური?! სწორედ ამაშია პრობლემა.

– საპროკურორო საბჭო, რომელიც მთავარ პროკურორს ირჩევს, „ქართული ოცნების“ წევრებით არის დაკომპლექტებული?

– დიახ, აბა ეკა ბესელია ვინ არის?! ეს ხომ ფაქტია. მე უკვე დიდი ხანია, რაც ვამბობ, რომ რეფორმა საკანონმდებლო დონეზე უნდა ჩატარდეს. პოლიტიკურად ნეიტრალური საგამოძიებო ორგანოს ჩამოყალიბება არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ამას ერთი კაცი ვერ შეძლებს, ისიც ამ სისტემის ნაწილი გახდება, თუ არ მოხდა საკანონმდებლო დონეზე რეფორმის განხორციელება.

საკანონმდებლო დონეზე გამყარებული, რეალურად ნეიტრალური პროკურატურა, რომელიც გამოძიებაზე განახორციელებს ზედამხედველობას, შექმნის დამოუკიდებელი მართლმსაჯულების წინაპირობას. სხვა მხრივ გვექნება მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც არ არის პოლიტიკურად ნეიტრალური და ეს ყოველთვის გამოიწვევს რყევებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ვიხილეთ.

„ოცნების“ ახალი პრემიერი და სავარაუდო პრეზიდენტობის კანდიდატი საერთაშორისო სკანდალში ეხვევიან

ცნობილი ხდება გასაიდუმლოებული შეხვედრის შესახებ, რომელიც ინფრასტრუქტურის სამინისტროში აზიის განვითარების ბანკსა და სამინისტროს წარმომადგენლებს შორის შედგა.

„თაიმერის“ ინფორმაციით, „საიდუმლო სერობას“ ბანკის წარმომადგენლები და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, პირველი მოადგილე ირაკლი ქარსელაძე და მოადგილე გიგა კაცია ესწრებოდნენ. წყაროს ინფორმაციით, ქართულმა მხარემ ბანკის წარმომადგენლებს ისეთი მოთხოვნა წაუყენა, სტუმრები „გაღიმებული“ დატოვა.

აზიის განვითარების ბანკი არის მსხვილი პროექტების განმხორციელებელი დონორი ორგანიზაცია, რომელთა პროექტების ღირებულება, სულ ცო-

ტა, 100 მილიონიდან იწყება. ბანკი პროექტის დამტკიცების შემდეგ თანხას ეტაპობრივად რიცხავს და ყოველთვის, ყველა დროში, პირველი ტრანში პროექტის ღირებულების 10%-ია, ანუ სახელმწიფო, რომელიც ბანკიდან ვალს იღებს, მხოლოდ მოხმარებული თანხის პროცენტს იხდის, მეორე ტრანში ირიცხება სამუშაოს პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, ამიტომ ეტაპობრივად თანხის გადარიცხვა ზედმეტი ხარჯისაგან ათავისუფლებს ქვეყანას.

რამ გააოცა აზიის განვითარების ბანკი?

საქმე ისაა, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ბანკს მინისტრმა და მისმა მოადგილეებმა წინმსწრებად მოსთხოვეს არა 10%-ის, არამედ 30%-ის გადარიცხვა, რითაც ძალიან გაოცებული დატოვეს ბანკის მესვეურები. შეხვედრაზე დაისვა კითხვა, აუთვისებელ ფულში რატომ უნდა გადაიხადოს საქართველომ პროცენტი, მით უმეტეს, რომ ჯერ სამუშაოები არ არის დაწყებული და 10%-ის გადარიცხვაც კი ნაჩქარევია. საბოლოოდ გაირკვა, რომ თურმე მაია ცქიტიშვილს „კეთილი მიზნები“

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მორიგ სპეცოპერაციას კადიროვი ქვემო ქართლში ჩაატარებს“

ზაალ კასრელიშვილი: „აფხაზეთისა და ცხინვალის მიერთების გადასაფარად რუსეთი პანკისში დაძაბულობას მოგვიწყობს“

შორენა მარსაგიშვილი

რა სცენარი მოამზადა მოსკოვმა საქართველოსთვის, რის დამტკიცებას აპირებს ის დასავლეთისთვის, რას ემსახურებოდა პანკისში კადიროველების გამოჩენა, რა შეიცვლება მას შემდეგ, რაც საქართველო აშშ-ის მოკავშირის სტატუსს მიიღებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

ზაალ კასრელიშვილი:

– ძალიან კარგი ამბები მოდის ამერიკიდან – ვაშინგტონში თვლიან, რომ საქართველოს სტატუსი უნდა შეიცვალოს. ჩვენი ქვეყანა აქამდე აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი იყო, ახლა ჩვენ გვეძლევა შანსი, ამ უძლიერესი სახელმწიფოს მოკავშირეები გავხდეთ.

აშშ-ის მოკავშირის სტატუსი ძალიან სერიოზული ამბავია. როცა აშშ-ის მოკავშირე ხდები, შენ მისი მოკავშირე ხარ სამხედრო და ეკონომიკურ საკითხებშიც. ჩვენ ამერიკის მოკავშირეები ვხდებით ისე, რომ არც ევროკავშირისა და არც ნატოს წევრები არ ვართ. ჩვენი მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ ისრაელისა და ეგვიპტის სტატუსებს. არც ისინი არიან ნატოსა და ევროკავშირის წევრები, მაგრამ არიან აშშ-ის მოკავშირეები.

– მათ მდგომარეობაში რომ აღმოვჩნდეთ, ჯერ აშშ-მ თავის მოკავშირედ უნდა გვაღიაროს.

– ვაშინგტონში ამ თემაზე საუბარი შემთხვევით არ დაუწყიათ. საქართველო ძალიან მალე გახდება აშშ-ის მოკავშირე ქვეყანა.

– აშშ-ის მოკავშირეობა საქართველოსთვის რას შეცვლის? გასულ წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც, ვინც აფხაზეთსა და სამაჩაბლოს აღიარებდა, მას ვაშინგტონი ფინანსურ დახმარებას შეუწყვეტდა. ცოტა ხნის წინ სირიამ რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა. სირიის ქმედების უკან, ბუნებრივია, მოსკოვი დგას. აშშ-ის მოკავშირის სტატუსი რუსეთს პროვოკაციებზე ხელს ააღებინებს?

– აშშ-ის მოკავშირის სტატუსი თუ მივიღეთ, ამით ძალიან ბევრი რამე შეიცვლება. სირიამ ძალიან ცუდი რამ გააკეთა, მაგრამ, ისიც ვთქვათ, რომ ის აღარ შედის ცივილიზებული ქვეყნების ჩამონათვალში. სირიას ეხმარება და იმავდროულად წველის რუსეთი.

სირია თითქმის დაშლილი სახელმწიფო გახლავთ. ამას მხოლოდ იურიდიული გაფორმება აკლია.

– ამ აღიარებისთვის ალალი იქნება მათზე სახელმწიფოს დაშლის იურიდიული გაფორმება.

– ეს დღე ძალიან მალე დადგება. რაც შეეხება თავად ბაშარ ალ ასადს, ის ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 28%-ს აკონტროლებს. ამის მიუხედავად, საქართველოს აღიარებაზე ძალიან მკაცრი პასუხი უნდა ჰქონდეს. ეს იმიტომ უნდა გავაკეთოთ, რომ მსგავსი რამის გაკეთება სხვა ქვეყნებმა ვეღარ გაბედონ.

– საქართველომ სირიასთან უკვე გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა. კიდევ რა უნდა გავაკეთოთ?

– რა უნდა გავაკეთოთ და საქართველოს ტერიტორია უნდა დავატოვებინოთ სირიის ყველა მოქალაქეს, მათ შორის ლტოლვილებს. სირიიდან ლტოლვილები რამდენიმე წლის წინ საერთაშორისო თანამეგობრობის თხოვნით მივიღეთ.

– რამდენი სირიელი ლტოლვილი მიიღო საქართველომ?

– ჩვენ 3.000-მდე სირიელ ოჯახს მივეცით თავშესაფარი. საქართველოს თავად ნახევარი მილიონი დევნილი ჰყავს მისახედი. ეს ადამიანები რუსებმა ძირძველი ქართული მიწებიდან – აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან – გამოყარეს.

– შეფარებული ლტოლვილების გაყრა მთლად კარგი საქციელი არ იქნება.

– ნამდვილად არ იქნება ლამაზი, მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ. ეს იმიტომ უნდა გავაკეთოთ, რომ სხვა ქვეყნებმა არ გაბედონ სოხუმისა და ცხინვალის აღიარება.

– ამას რამე სამართლებრივი გართულებები არ მოჰყვება?

– არანაირი. როცა ქვეყანასთან დიპლომატიურ ურთიერთობებს წყვეტ, სრული უფლება გაქვს, ამ ქვეყნის წარმომადგენლები გააძევო.

აქ სირიელებს ბიზნესის კეთება და ტურისტად შემოსვლაც უნდა ავუკრძალოთ.

ამის გარდა, სირიაში მიმავალი ტვირთებისთვის სატრანზიტო და საჰაერო სივრცე უნდა ჩაიკეტოს. სირია სამაგალითოდ უნდა დავსაჯოთ. რომელიმე ქვეყანა თუ ფიქრობს, რომ ევრაზიული დერეფნის გარეშე ეკონომიკა არ გაუძვირდება, ძალიან მწარედ შემცდარა.

– აქვს საქართველოს ამის გაკეთების შნო? ხშირად ამბობთ ქართველ პოლიტიკოსებზე ასეთ რამეს – შიგნით მგლები, გარეთ თხებიო. თხებს მგლებისთვის დამახასიათებელი გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდებათ.

– შნოზე ვერაფერს გეტყვით, მკაცრი სანქციების გაკეთების უფლება ნამდვილად გვაქვს. მეტის თქმაც შემიძლია, ცოტა ხნის წინ აშშ-მ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეკრულება დატოვა. ეს იმას ნიშნავს, რომ მან ყველა ვალდებულება მოიხსნა, რომლებიც საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ჰქონდა.

აშშ ასე იმიტომ მოიქცა, რომ ლტოლვილებმა ამ ქვეყნის მოსახლეობა და უსაფრთხოება შეაწუხეს.

– ამერიკა რატომ შეწუხდა? ლტოლვილები ევროპამ მიიღო და არა ამერიკამ.

– ევროპას ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს ამ მიმართულებით და რადგან აშშ-მ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, არც აქ არის კარგად საქმე. ჩვენ რამდენადაც ვიცით, გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერები შეჯერდნენ, რომ ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია გადასახედია.

ეს ქვეყნები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ საიმიგრაციო პოლიტიკა უნდა გაამკაცრონ. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს, 90-იან წლებში არ დავბრუნდეთ. ამ წლებში მიღებული კანონებით ხელმძღვანელობდნენ დღემდე ამერიკა და ევროპა. მიმაჩნია, რომ ჩვენც უნდა წავიწიოთ წინ და იმავე ტიპის კანონები მივიღოთ, როგორებაც ჩვენი მოკავშირე აშშ იღებს.

– აშშ ჩვენი მოკავშირე ჯერ არ არის.

– ძალიან მალე გავხდებით ამ სტატუსის მატარებლები. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც ჩვენ შეგვეხება, ის შეეხება აშშ-ს.

– ახლა ამერიკა იქნება ჩვენი უფროსი ძმა?

– რუსეთისგან განსხვავებით, აშშ მართლა ძმა იქნება.

– რუსეთი ახალი უფროსი ძმის გამოჩენას ასე მარტივად გაატარებს?

– უფროსი ძმის სტატუსის დაკარგვას მოსკოვი ასე იოლად არ შეეგუება. ახლო მომავალში ცხინვალი დამოუკიდებლობის 10 წლისთავს აღნიშნავს. ამ ღონისძიებას რუსეთის პირველი პირები დაესწრებიან.

მოსკოვი შეეცდება თავისი დონის მოკავშირეების გაძლიერებას. ესენი არიან ბაშარ ალ ასადი, ხაჯიმბა, ბიბილოვი.... ნუღარ ჩამომათვლევინებთ, მეც და მოსახლეობასაც ნერვები გვეშლება ამათ ხსენებაზეც კი. ამ მოკავშირეებით კრემლი შორს ვერ წავა, მაგრამ მაქსიმალურად შეეცდება ჩვენს გამწარებას.

მეტსაც ვიტყვი, საქართველო ბრიუსელის სამიტზე აუცილებლად მიიღებს ახალ სტატუსს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ამის შემდეგ რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის მიერთების პროცედურას დაიწყებს. საქართველო ამისთვის მზად უნდა იყოს, მათ შორის მორალურადაც.



– არ ფიქრობთ, რომ ამისთვის მორალურად კარგა ხანია, რაც მზად ვართ? არ გეჩვენებათ, რომ ჩვენი საზოგადოება ამას უკვე დიდი ხანია, რაც შეეგუა?

– სხვაზე ვერაფერს გეტყვით. მე და ჩემი თანამოაზრეები ამასთან შეგუებას არ ვაპირებთ. მოვუწოდებ სათანადო ორგანოებს, ახლავე დაიწყონ იმაზე ფიქრი, თუ როგორ შეაჩერონ რუსეთი. დაიმახსოვრეთ, საქართველო აუცილებლად დაუახლოვდება ნატოს, რასაც რუსეთი აგრესიული ქმედებით უპასუხებს. პოსტფაქტუმ რეაგირება საქმეს არ უშველის.

– თქვით, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიერთების პროცედურას დაიწყებს. აღნიშნეთ ისიც რომ აშშ-ის მოკავშირეობა ნიშნავს, შენ თუ შეგეხებიან, ვაშინგტონსაც შეეხებიან. გამოდის, რომ ცხინვალისა და სოხუმის რუსეთთან მიერთებაც უნდა ეწყინოს აშშ-ს, მაგრამ, რადგან რუსეთი ამაზე მიდის, მას საერთოდ არ აინტერესებს ვაშინგტონის პოზიცია.

– დღეს რუსეთს ყველაზე მეტად უნდა, რომ საქართველოში იყოს მართვადი ქაოსი. კრემლი საპროტესტო ტალღას თუ ააგორებს და სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიგვიყვანს, ჩათვალეთ, რომ მისი მიზანი მიღწეულია.

რუსეთს აქ რომ სამოქალაქო დაპირისპირების გამოწვევა შეუძლია, ამაში ერთი თვის წინ დავრწმუნდი – რუსთაველის გამზირზე პროდასავლური და პრორუსული ძალები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. მაშინ სამოქალაქო დაპირისპირებისგან პოლიციამ გვიხსნა, რომელიც მათ შორის ჩადგა.

ასეთი რამე კიდევ თუ მოხდა, რუსეთი შეეცდება, საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანოს. ამით კრემლი დასავლეთს დაუმტკიცებს, რომ საქართველო არ არის მზად, ევროპის ნაწილი გახდეს და ის არის პრობლემური ქვეყანა.

ნატოსა და ევროკავშირის წესდებაში მუხლებია, სადაც პირდაპირ წერია, რომ ქვეყნები, რომლებსაც პრობლემები მოაქვთ, თავიანთ რიგებში არ უნდა მიიღონ. ეს არის რუსეთის მთელი ალია-ბალია.

მოსკოვი არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ დააფინანსებს და არაფერს გააკეთებს, რომ ამ ძალამ ცივილიზებული მეთოდებით მოიპოვოს ხელისუფლება. კრემლს ასეთი მიზნები არ აქვს.

მოსკოვს 1992 წელს სამხედრო გადატრიალების გარეშე შეეძლო საქართველოში ხელისუფლების შეცვლა, მაგრამ ასე არ მოიქცა. ძალა, რომელსაც გაამარჯვებინა, სისხლში ისე გასვარა, რომ მასზე სრული კონტროლი ჰქონოდა დაწესებული.

ესეც იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთი ცივილიზებულ მიდგომებს არ ცნობს. დასავლეთს აქვს ასეთი მიდგომა – ჩემს პარტნიორს გავამდიდრებ, დავეხმარები და ჩემს დონეზე ამოვწევ. კრემლი პირიქით არის.

ღმერთმა დაიფაროს მთელი მსოფლიო და ეგენი ცოტა ხნით რომ შეუშვა აშშ-ში, 3 თვეში ამერიკა რუსეთის წყალობით გახდება რეკეტიორული და ყაჩაღური ქვეყანა, როგორიც რუსეთი 90-იან წლებში იყო. აშშ-ს კორუფციაშიც ჩაახრჩობდნენ.

მართვადი ქაოსის შექმნის გარდა, ჩრდილოელ მეზობელს კიდევ ერთი მიზანი ამოძრავებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი დიალოგს დაიწყებენ. ერევანსა და ბაქოს მოსკოვი ისე აქტიურად ისედაც ვეღარ აომებს, როგორც ამას ადრე აკეთებდა და რადგან ეს არ გამოსდის, შეეცდება, ორივეს ყურადღება აქეთ – საქართველოსკენ გადმოიტანოს.

ამას ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი პროვოკატორების მეშვეობით გააკეთებს. საქართველოში სომხებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში სერიოზული პრობლემები შეიქმნება.

– წინა ინტერვიუში საკმაოდ შემაშფოთებელ პროგნოზებს აკეთებდით პანკისთან დაკავშირებით. ახლა აღარ გიხსენებიათ ეს თემა. მოგვარდა ეს პრობლემა?

– არა, რა მოგვარდა, ისევ ძალიან რთულად არის საქმე. მოსკოვი ყველაფერს აკეთებს, რომ აქ ვითარება დაიძაბოს.

– რამდენიმე კვირის წინ პანკისში გამოჩნდა კადიროვის ხალხი, რომლის წევრებიც მანქანების კოლონით გადაადგილდებოდნენ. მანქანებზე გამოკრული იყო ახმად კადიროვის დიდი სურათი. ამას ხეობაში სერიოზული შეხლა-შემოხლა მოჰყვა. თქვენ მაშინ გვითხარით, რომ გაარკვევდით, რა მოხდა. გაარკვიეთ?

– მაშინვე გავარკვიე. ეს არის სამზადისი დიდი პროვოკაციისთვის. კავკასიაში პუტინის ჟანდარმმა კადიროვმა პანკისში საკუთარი ძალები მოსინჯა. ადგილობრივებისა და სამართალდამცავების დახმარებით ეს პროვოკაცია სისხლისღვრაში არ გადაიზარდა, მაგრამ ყოველთვის ასე არ მოხდება.

– ძალები მოსინჯა კადიროვმაო და რა გაარკვია პანკისში?

– გაარკვია, რომ იქ ის დიდად არ უყვართ.

– აქამდე არ იცოდა, რომ არ უყვარდათ?

– ეგონა, რომ მაჩალიკაშვილების ოჯახის ტრაგედია სიტუაციას შეცვლიდა. ქისტები მაჩალიკაშვილის საქმის გამო ძალიან აღელვებული არიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი კადიროვს დაუჭერენ მხარს.

კადიროვი მიხვდა, რომ პანკისში დასაყრდენი არა აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით პროვოკაციები არ იქნება. მეტსაც გეტყვით, მომდევნო პროვოკაციას რამზან კადიროვი უკვე ქვემო ქართლში მოაწყობს.

– რა სახის პროვოკაციას ელოდებით?

– ნებისმიერი სახის პროვოკაციას უნდა ველოდოთ. არ გამოვრიცხავ, რომ ქვემო ქართლშიც გამოჩნდეს ის კოლონა, რომელიც პანკისში ვიხილეთ.

– ქვემო ქართლში ეთნიკური ჩეჩნები არ ცხოვრობენ და რაში აინტერესებთ მათ კადიროვის მამის ფოტოს ფრიალი?

– ჩეჩნები არ ცხოვრობენ, მაგრამ ამ რეგიონში ძალიან ბევრი ვაჰაბიტია. ისინი კადიროვებს ვერ იტანენ. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, სერიოზულ სისხლისღვრამდე მივიდეს საქმე.

შემთხვევით არ მიხსენებია, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიერთების პროცედურას დაიწყებს. ამაზე მსოფლიოს სათანადო რეაგირება რომ არ ჰქონდეს, საქართველოში სხვა კონფლიქტურ კერებს გააჩაღებს. კადიროვის დახმარებით ქვემო ქართლსა და პანკისში დაიწყებს არეულობას, მთელი ყურადღება ამ რეგიონებზე გადავა.

სხვათა შორის, ასე მოხდა ყირიმის მიერთების დროსაც. ამ პროცესის პარალელურად დაიწყო კრემლმა ლუგანსკსა და დონბასში საომარი მოქმედებები. ეს ომი რუსებს ყურადღების გადასატანად დასჭირდათ. ჩვენთანაც ასე იქნება.

– თქვენი პროგნოზი საკმაოდ შემაშფოთებელია. ამაზე პოზიციას ან ოპოზიციას, ან თუნდაც საზოგადოებას არ უფიქრია?

– ვერ გეტყვით. ჩვენთან, სამწუხაროდ, ის უფრო აინტერესებთ, ვის რა ფერის საცვალი აცვია და ვინ ვისთან წევს. ამასობაში კი შესაძლოა კადიროვი ჩაგვიწვეს საწოლში. ეს თუ მოხდა, მერე თითზე კბენა დაგვიანებული იქნება.

ნანა დევდარიანი: „ვერ მივხვდი, კვირიკაშვილი რატომ გადადგა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი პასუხობს.

– ქალბატონო ნანა, მთავრობაში სერიოზული ცვლილებებია დაგეგმილი. უმრავლესობაში აცხადებენ, რომ მათ სჭირდებათ მცირე და ოპერატიული მთავრობა, რომელიც სწრაფ გადაწყვეტილებებს მიიღებს. რას იტყვით თქვენ ამ ყველაფერზე?

– ჩვენ გვახსოვს, ერთხელ 2 სამინისტრო რომ გააერთიანეს და სულ 20 კაცი რომ დაითხოვეს. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით ეს გამართლებულია.

ბახტაძემ აჩვენა, რომ, განსხვავებით ბევრი სხვა მინისტრისგან, საზოგადოებრივ განწყობებს იჭერს, ისმენს და ხედავს. თუმცა ერთია კონკრეტული სამინისტროს ხელმძღვანელობა და მეორეა, რამდენად გაართმევს მთლიანად მთავრობის საქმიანობას თავს. ამას დრო გამოაჩენს, თან საკმაოდ მალე.

– ბანკების თემითა და მათი მისამართით გაკეთებული ხისტი განცხადებებით მოიპოვა პოპულარობა ბახტაძემ საზოგადოებაში?

– ადეკვატური იყო იმ ვითარების, რაც შეიქმნა ქვეყანაში და მისი განცხადებები ბანკებთან დაკავშირებით მთლიანად ემთხვევა საზოგადოების განწყობას. ასეთი თავკომბალა საბანკო სისტემის გადამკიდე, როგორიც ჩვენთანაა, ქვეყანა საერთოდ ვერ განვითარდება. ამაში მე აბსოლუტურად ვიზიარებ ბახტაძის მოსაზრებებს.

– რამდენად შეძლებს, დაუპირისპირდეს საბანკო სისტემას?

– ეს ძალიან რთული თემაა და მათთან დაპირისპირება მართლაც სერიოზული რესურსების მობილიზაციას მოითხოვს. ბიძინა ივანიშვილი რომ წინააღმდეგი ყოფილიყო მისი ამ მოსაზრებისა, რა თქმა უნდა, პრემიერი ვერ გახდებოდა.

– ამბობენ, რომ ბახტაძე მთლიანად ივანიშვილის განწყობებს ახმოვანებს.

– პარადოქსთან გვაქვს საქმე. ივანიშვილი მილიარდერია, მაგრამ, უბრალოდ მილიარდერი კი არა, ბანკის პატრონიც არის. თუ მისი ეს მოსაზრება ემთხვევა ბახტაძის მოსაზრებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკების პოზიციები სერიოზულად დაცურდება და აღარ იქნება ეს მდგომარეობა. მოსახლეობისთვის რა არის მნიშვნელოვანი? რომ ეს საბანკო კაბალა და ვალში გადავარდნილი მთელი საქართველო რაღაცნაირად ამ სიტუაციას მოერგოს.

თუმცა, მე არც ის მავიწყდება, „ქართული ოცნება“ რომ მოვიდა ხელისუფლებაში, პირველი მოსმენით მიიღო ამასთან დაკავშირებით კანონპროექტი და მერე განცხადება გაკეთდა, ბანკებს ვერ დავუპირისპირდებითო.

– შესაძლოა, ახლაც იგივე განმეორდეს?

– თუ ახლაც იგივე არ მოხდა, კარგი იქნება.

– კეთდება შეფასებები, რომ ეს ყველაფერი „ქართულ ოცნებას“ თავის გადარჩენისთვის და წინასაარჩევნოდ სჭირდება. რას იტყვით თქვენ?

– ვერ ვიტყოდი, რომ წინასაარჩევნოდ სჭირდებათ და თავის გადასარჩენად. პრეზიდენტის ფუნქციები იმდენად შეიზღუდა, რომ დიდს არაფერს წყვეტს პრეზიდენტი, თუმცა პრესტიჟის ამბავია – რომ გაქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში, პრეზიდენტიც შენი კანდიდატი უნდა გახდეს. თორემ, რომ გითხრათ, ეს არჩევნები გადარჩენის დროშის ქვეშ მიდის, არ იქნება სწორი.

– სწრაფ და მოქნილ მთავრობაზე საუბრობენ. ექნებათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი? ეს ყოველთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა „ოცნების“ ხელისუფლებისთვის.

– ყოველთვის უნდა შეხედო ქვემოთ, სამინისტრო სტრუქტურებში რა ხდება. რამდენად გადაწყვეტილების მიღებისუნარიანია ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც დასაქმებულია სამინისტროში. პრობლემა არის ქვედა რგოლებში. როდესაც იმის მაგივრად, რომ ინიციატივიანი იყო, ახალი იდეების წინ წამოწევა მოხდეს, გადაწყვეტილებების მიღება, ცდილობენ, რომ რაც შეიძლება ნაკლებად გამოჩნდნენ, რომ მათი არსებობა არავის არ გაახსენდეს და ვაი მერე, თუ რომელიმეს წამოყენებული განცხადება არ მოეწონა ხელმძღვანელობას, ან ბიძინა ივანიშვილს, ან შენს დასავლელ პარტნიორებს. შენ თუ ასე აქეთ-იქით იყურე და სულ შიშების ქვეშ იყავი, გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებ.

– დღეს უკვე ბევრი ლანძღავს გიორგი კვირიკაშვილს. რატომ გადაიკვეთა მისი და ივანიშვილის გზები? მაინც რა შეეშალა კვირიკაშვილს?

– მოდით, საკითხი შევატრიალოთ სხვანაირად. ბიძინა ივანიშვილი რომ არ დაბრუნებულიყო პარტიის თავმჯდომარედ, მაშინ რას იტყოდნენ, რომ არაფორმალური მმართველისა და კვირიკაშვილის მოსაზრებები გადაიკვეთაო?! ყოველ შემთხვევაში, ეს პოზიტივი მაინც მოიტანა ივანიშვილს დაბრუნებამ.

– რა პოზიტივი?

– რომ პირდაპირი ადრესატი ითქმება და ამას არ გაურბის თვით ყოფილი პრემიერ-მინისტრიც. მეორეა, რომ მე ვერ დავინახე, რა დააშავა კვირიკაშვილმა. თუ რაღაც ისეთია მომხდარი კულისებში, რაც ჩვენ არ ვიცით, რა გითხრათ, მაგრამ ის იყო პრემიერ-მინისტრი, რომლის მიმართაც პოზიტიური განწყობა იყო. ვერ ვიტყვი, რომ რაღაცა ისეთი დააშავა, რის გამოც აუცილებელი იყო მისი გადადგომა.

მე ნამდვილად არ ვუკავშირებ ამას იმ საპროტესტო აქციებს. წლებია, მეც და ბევრი სხვაც ვლაპარაკობთ იმაზე, რომ პროკურატურა და ძალოვანი სტრუქტურები არის გასაწმენდი. ეს ნაციონალების კუდებით მუშაობა და რაღაცა პროგრესზე ლაპარაკი არის ზღაპარი.

– რამდენად გამოუვათ ამ ცვლილებების ფონზე, რომ მოხდეს წმენდა?

– არ გამოუვათ და კრიზისი გაღრმავდება. ჩვენს მეხსიერებაში პირველად ხომ არ ხდება ეს საპროტესტო აქციები, ერთხელ შეიძლება ჩაწყნარდეს და ორჯერ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღარ ჩაწყნარდება და სულ სხვა ხასიათს მიიღებს, თუ არ იქნება რადიკალური ცვლილებები. ისეთი ცვლილებები კი არა, რომ გამოვიდნენ, აი მე რეფორმების პაკეტი მაქვს. ისეთი ცვლილება, რომელსაც იმავე დღეს თუ არა, მეორე დღეს ხალხი იგრძნობს საკუთარ თავზე!

– საპრეზიდენტო არჩევნებიც ახლოვდება და ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ივანიშვილი მოინდომებს პრეზიდენტობას. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– როდესაც ივანიშვილი შემობრუნდა, მე ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც ეს ვთქვი. არ გამოვრიცხავ, რომ ასე იყოს. ივანიშვილს რომ ყოველდღიური მუშაობა არ უნდა და მთავრობის ხელმძღვანელობა, ეს ნათლად გამოჩნდა. აი, წარმომადგენლობით პრეზიდენტობაზე, რომელიც უფრო სახეა ქვეყნის, არბიტრია და ასე შემდეგ, შეიძლება უარი არ თქვას ბიძინა ივანიშვილმა. დღეს მას მაინც არბიტრის როლი აქვს.

– დღეს „ოცნებას“ სახეების კრიზისი აქვს და შესაძლოა ამიტომ გადაწყდეს ივანიშვილის პრეზიდენტობა.

– მაინცდამაინც პარლამენტიდან ხომ არ უნდა იყოს ასეთი კანდიდატურა?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბიძინა ივანიშვილი ოც წელზე მეტია, უამრავ ადამიანს არჩენს. გადარჩენა რასაც ჰქვია ფიზიკური, აი, ასე აფინანსებს ამდენი წლის განმავლობაში და ამ ცოტა ხნის წინაც იყო სკანდალი ერთ-ერთ ბენეფიციართან დაკავშირებით.

– შენგელაიას გულისხმობთ?

– დიახ. დავუშვათ და ვინმე ამ სახეებიდან წამოაყენონ, რა, გამორიცხული ამბავია? თუმცა ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ თავად ბიძინა ივანიშვილი გახდეს პრეზიდენტობის კანდიდატი.

მამუკა ბახტაძის ოფიციალური ბიოგრაფიიდან „ცენტრ პოინტ ინვესტში“ მუშაობის წლები წაშლილია

საქართველოს პრემიერის დამალული წარსული – მამუკა ბახტაძე, თითქმის ორი წლის განმავლობაში კომპანია ცენტრ პოინტ ინვესტს ხელმძღვანელობდა, თუმცა ეს წლები მისი ოფიციალური ბიოგრაფიიდან წაშლილია.

ბახტაძე ამ თანამდებობაზე მაია რჩეულიშვილმა 2007 ნოემბერში დანიშნა და სადამფუძნებლო დოკუმენტების საქაღალდეში ყველა ეს საბუთი ინახება.

კომპანია ცენტრ პოინტ ინვესტმა, რომელსაც მამუკა ბახტაძე ხელმძღვანელობდა, ასობით ადამიანის ფული მიითვისა და ხალხი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ცენტრ პოინტის ხელმძღვანელი, გუკა რჩეულიშვილი, ამბობს, რომ კომპანია ცენტრ პოინტ ინვესტი, რომელსაც მამუკა ბახტაძე ხელმძღვანელობდა, მოქალაქეებისგან ინვესტიციებს ანუ ნაღდ ფულს იზიდავდა და მათ ბანკზე ბევრად მაღალ პროცენტს ჰპირდებოდა.

მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიღების მიზნით ცენტრ პოინტ ინვესტს საქართველოში 2007 წელს ასობით მოქალაქემ მიმართა, ხალხმა ბინები გაყიდა და კომპანიაში ფული შეიტანა. საუბარია, ჯამში, რვა მილიონ დოლარზე.

მამუკა ბახტაძემ თანამდებობა 2009 წლის 6 ივლისს დატოვა, მას შემდეგ, რაც ცენტრ პოინტ ინვესტი უკვე გადახდისუუნარო იყო და ასობით მეანაბრე ფულის დაბრუნებას ითხოვდა. მაშინ კომპანია სამართავად დექსუსს გადაეცა, რომელსაც კრიზისი უნდა დაეძლია. გუკა რჩეულიშვილი ამბობს, რომ მამუკა ბახტაძე დროებითი მენეჯმენტის შესვლის წინააღმდეგ იყო.

ამავე კომპანიაში ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელად ბახტაძის დედა, მანანა ნანიტაშვილი, მუშაობდა. ის გელოვანის გამზირზე დაკიდული ბაღების მენეჯერი იყო.

მანანა ნანიტაშვილისგან ბინა სვეტა დანელიამ იყიდა და 23 ათას დოლარიანი ბინიდან 4.000 დოლარი პრემიერის დედას ხელზე მისცა, თუმცა, ქვითარი არ მიუღია. ახლა სვეტა დანელიას აღარც ბინა აქვს და აღარც ფული.

ერთი წლის წინ დანელიამ მანანა ნანიტაშვილს პროკურატურაში უჩივლა, თუმცა საქმე თაროზე შემოდეს და დაკითხვაზეც კი არ დაუბარებიათ.

პრემიერის დედა ცენტრ პოინტის სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთი ფიგურანტია. მან სახელმწიფო ბრალდებას მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის წინააღმდეგ ჩვენები მისცა.

უცნობია, რატომ არ იძიებს პროკურატურა პრემიერ-მინისტრისა და მისი დედის საქმიანობას, რომელიც ცენტრ პოინტის ხმაურიან საქმეს პირდაპირ უკავშირდება.

მამუკა ბახტაძე, რომელიც ცენტრ პოინტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი იყო, მითვისებული თანხების საქმეზე არც კი დაუკითხავთ, რის გამოც ოპოზიცია ამბობს, რომ სახეზეა შერჩევითი სამართალი.

ქუჩაში მოქალაქეები ბინებსა და ცენტრ პოინტ ინვესტში ჩადებულ ფულს ამ დრომდე უშედეგო ითხოვენ.

2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მაია რჩეულიშვილი და რუსუდან კერვალიშვილი დააკავეს. მობინადრეებს ჰპირდებიან, რომ კუთვნილ ფართებს მიიღებენ, თუმცა ჯერ ბინა უბინაოდ დარჩენილებს თვალით არ უნახავთ.

რუსთავი 2

კახა კალაძე: „კომპანია „სვეტის“ წარმომადგენლები თაღლითურად მოქმედებდნენ“

თბილისის მერ კახა კალაძის განცხადებით, ის დეველოპერული კომპანია „სვეტის“ მენაშენეებთან შეხვედრისთვის მზად არის. აღნიშნულის შესახებ კახა კალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა და აღნიშნა, რომ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები თაღლითურად მოქმედებდნენ.

თბილისის მერის ინფორმაციით, იკვეთება ფინანსური დარღვევებიც.

– მე მათთან შეხვედრის პრობლემას ვერ ვხედავ. ნებისმიერ დროს შეიძლება. ჩვენ ამ კომპანიას შევუჩერეთ ყველანაირი სამუშაოები. შემიძლია ვთქვა, რომ ამ კომპანიის წარმომადგენლები თაღლითურად მოქმედებდნენ. მათი მშენებლობების უმრავლესობა უნებართვო იყო. იყო პრობლემური მშენებლობები და ფინანსური პრობლემები, – განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება დაზარალებულებთან შეხვედრას, თბილისის მერის თქმით, მისი ორგანიზება მომავალ კვირას შეიძლება.

თბილისის მერიამ დეველოპერული კომპანია „სვეტის“ კომპლექსის მშენებლობა მიმდინარე წლის თებერვალში შეაჩერა. როგორც მერიაში აცხადებდნენ, მირცხულავას ქუჩაზე კორპუსების მშენებლობა შესაბამისი ნებართვის არარსებობის გამო შეჩერდა; ჭყონდიდელის ქუჩაზე კი მშენებლობის შეჩერების მიზეზი პროექტთან შეუსაბამობა იყო.

იბნ

„ოცნების“ ახალი პრემიერი და სავარაუდო პრეზიდენტობის კანდიდატი საერთაშორისო სკანდალში ეხვევიან

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ამოძრავებს და ახალ პრემიერს „დუ შაშს“ უგორებს – ბანკიდან ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებისათვის გამოყოფილი თანხის 30% ბიუჯეტის შესავსებად სჭირდება! დიახ, არც მეტი და არც ნაკლები – სესხი ბიუჯეტის შესავსებად!

აზიის განვითარების ბანკს ჯერ მილიარდ-ნახევარი დოლარის გაქრობა ვერ „მოუნელებია“, რომლის შესახებ მმართველი ძალა მხოლოდ პრემიერ კვირიკაშვილის გადადგომის შემდეგ ალაპარაკდა (თუმცა არავის უთქვამს, გამოძიებას იწყებენ თუ არა) და უცებ ამ ფონზე რამდენიმემილიარდიანი პროექტიდან 30%-ის ერთბაშად გადარიცხვას სთხოვენ.

ინფრასტრუქტურის სამინისტროში გასაიდუმლოებულ შეხვედრას წინ უსწრებდა მამუკა ბახტაძისა და აზიის განვითარების ბანკის პრეზიდენტის შეხვედრა, რომელიც ბახტაძის პრემიერ-მინისტრის კანდიდატად დასახელებიდან მეორე დღესვე შედგა.

მამუკა ბახტაძემ მაშინ განაცხადა:

– აზიის განვითარების ბანკი არის საქართველოს უმსხვილესი პარტნიორი, რომლის ლოკალური პორტფელი 2.4 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღემატება და მიმართულია საქართველოს განვითარებისკენ. საქართველოს მთავრობა აფასებს ამ მხარდაჭერას და გამოვხატავთ მზადყოფნას არსებული ურთიერთობის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად.

16 ივნისს აზიის განვითარების ბანკის პრეზიდენტი ტაკეჰიკო ნაკაო პირველად ესტუმრა საქართველოს და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არავინ დაეჭვებულა ბანკის პრეზიდენტის საქართველოში უეცარი ჩამოსვლით. თქმა იმისა, რომ ეს შეხვედრა დაგეგმილი იყო ჯერ კიდევ კვირიკაშვილის დროს, ადვილია. მთავარი პრეზიდენტის ჩამოსვლის მიზეზია, რაც კვირიკაშვილის გადადგომის შემდეგ გაჟღერდა კიდეც, რასაც არავინ მიაქცია ყურადღება და არავინ დასვა კითხვა – ასეთ ფონზე ბანკისთვის რამდენად კეთილსინდისიერი პარტნიორია საქართველო?!

აზიის განვითარების ბანკთან ვითარება ჯერ კიდევ ინფრასტრუქტურის მინისტრ ალავიძის დროს დაიძაბა. მართალია, ზურაბ ალავიძე თავისი განცხადებით გადადგა, მაგრამ იმ პერიოდში მედია აქტიურად წერდა სამინისტროში არსებული ქაოსისა და განუკითხაობის, კორუფციისა და ნეპოტიზმის შესახებ, რაც მოგვიანებით დადასტურდა კიდეც და სუს-ში დღემდე თაროზე ობდება ალავიძის მინისტრობის დროინდელი გზების დეპარტამენტის უფროსის სეთურიძის განცხადება და განცხადების საფუძველზე ჩამორთმეული ჩვენება, სადაც, ჩვენი ინფორმაციით, დეტალურადაა აღწერილი ალავიძის და მისი გუნდის „საქმენი საგმირონია“.

აქვე შეგახსენებთ, რომ სეთურიძე ალავიძის „გადადგომამდე“ რამდენიმე დღით ადრე „გადადგა“.

ნიუპოსტი

გიგა ბუკია: „კანონმდებლობამ ნარკოტიკების გავრცელებას ხელი არ უნდა შეუწყოს“

„გიორგი გახარიამ ნარკოვაჭრობას უპრეცედენტო ბრძოლა გამოუცხადა“

მარიამ მჭედლიშვილი

საკანონმდებლო პაკეტი ნარკოპოლიტიკის შესახებ კომიტეტების დონზე პარლამენტში ისევ იხილება. ნარკოპოლიტიკა კვლავინდებურად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს როგორც პარლამენტის შიგნით, ისე საზოგადოებაში. ამ საკითხზე „ახალი თაობა“ პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე გიგა ბუკიას ესაუბრა.

– არსებობს თუ არა თანხმობა იმაზე, რომ ნარკოტიკების მოხმარება დეკრიმინალიზებული იყოს?

– ნარკომანი რომ ციხეში არ უნდა წავიდეს, ამაზე ვართ ყველანი თანახმა. დეკრიმინალიზაცია სხვა რამეა. ეს ნიშნავს პასუხისმგებლობის სრულ მოხსნას. ეს სწორი არ იქნება. დამრღვევს პასუხი უნდა აგებინო, მაგრამ არ არის აუცილებელი მისი ციხეში გამომწყვდევა.

– მიგაჩნიათ, რომ ნარკოტიკების მომხმარებელმა მსუბუქი ფორმით უნდა აგოს პასუხი?

– სახელმწიფომ ნარკომანიას ხელი არ უნდა შეუწყოს. პარლამენტში ძირითადად შევჯერდით იმაზე, რომ ნარკოტიკების მომხმარებლის მიმართ სხვადასხვა ზომა უნდა გატარდეს. თუ შემთხვევა პირველია, მას მიეცემა გაფრთხილება. ამასთან, სპეციალური კომისია ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების მონაწილეობით შემთხვევას შეისწავლის. თუ მოხმარება განმეორდა, ნარკომანს ან სამკურნალოდ გაამწესებენ, ან ადმინისტრაციულ სახდელს დააკისრებენ. მესამე შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტს, რა ზომა გატარდება. შეიძლება, ეს იყოს შინაპატიმრობა ან სხვა შემზღუდავი მოქმედება.

კანონმდებლობამ ხელი არ უნდა შეუწყოს ნარკოტიკების გავრცელებას და არ უნდა გაამრავლოს ნარკომანები ქვეყანაში. ნარკოტიკები არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით, ბავშვებისთვის.

– დოზების საკითხი ისევ დავას იწვევს? მოქალაქის ჯიბეში აღმოჩენილი ნარკოტიკის დოზაზეა დამოკიდებული, მას ნარკომანად ჩათვლიან თუ გამსაღებლად.

– დოზებზე არ არსებობს თანხმობა. ეს ძალიან რთული საკითხია. როგორ უნდა განისაზღვროს, რამდენი გრამი უნდა ედოს ნარკომანს ჯიბეში, რომ პასუხი არ აგოს? პირადად მე მაინტერესებს, რატომ უნდა ატაროს მომხმარებელმა ჯიბით ნარკოტიკები და რატომ უნდა წაახალისოს ეს სახელმწიფომ? სავსებით შესაძლებელია, რომ პირი მომხმარებელიც იყოს და გამავრცელებელიც. ვინ გაარკვევს ამას?

– მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტს საყვედურობენ, რომ ჭიანურდება ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია. ისინი პარლამენტარებზე ზეწოლასაც ახდენენ.

– არ ვიცი, ვინ ექვემდებარება მათ ზეწოლას. მე და ჩემი თანაპარტიელები ჩვენს პოზიციაზე ვდგავართ და ჩვენზე ვერავინ მოქმედებს. იმ ჯგუფებში, რომლებიც ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას მოითხოვენ, უმრავლესობა დაინტერესებული პირია.

– მომხმარებლები და გამსაღებლები?

– ესენიც. ზოგი მათი მკურნალია. მათ ნარკოპოლიტიკა სჭირდებათ საკუთარი მიზნებისთვის. ამ ხალხს ფინანსური ინტერესები ამოძრავებს.

– მათი აზრით, მოქმედი რეპრესიული ნარკოპოლიტიკა იწვევს ამდენ მსხვერპლს მომხმარებლებში.

– ეგენი ზედოზირებასაც სახელმწიფოს აბრალებენ, აგრესიული ფორმით ამტკიცებენ აბსურდს. ამ ჯგუფების განცხადებით, ნარკომანები ყველაზე უმწიკვლო ადამიანები არიან, რომლებსაც სახელმწიფომ სასათბურე პირობები უნდა შეუქმნას. მთელი ცხოვრება ვიკაიფებ, სახელმწიფომ კი ხელი შემიწყოსო – ესაა მათი იდეოლოგია. სხვას რას ნიშნავს განაცხადი: „ჩემი სხეული მე მეკუთვნის, რასაც მინდა, იმას ვუზამ“.

თუ ასეთი დამოუკიდებელი ხარ, თუ გინდა, ვნება მიიყენო, მაშინ სახელმწიფოს რატომ უყენებ პრეტენზიებს! მათ შორის, იმაზე, რომ ღამის კლუბში ჩაატარა საგამოძიებო მოქმედებები. ეს არც სახელმწიფოებრივად არის სწორი და არც – სამართლებრივად. ახალგაზრდა თაობის წინაშე კი ზნეობრივადაც გაუმართლებელია.

– საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ ღამის კლუბებში ჩატარებულ ოპერაციას ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა.

– ერთჯერადი ხასიათი არ აქვს იმას, რასაც აკეთებს შს მინისტრი გიორგი გახარია. მან ნარკოვაჭრობას უპრეცედენტო ბრძოლა გამოუცხადა. იანვრიდან დაკავებულია 72 ნარკოტიკების რეალიზატორი. ღამის კლუბებში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე დიდი ალიაქოთი ატეხეს ნარკოლიბერალებმა, თუმცა, მალე გაირკვა, რომ ეს ცრუ და ყალბი ხმაური იყო. აყვირდნენ ისინი, ვისაც საკუთარი ფინანსური ინტერესები აღელვებს. ოპერაციის დროს ძალის გადამეტების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ამაზე საჩივარი არ შესულა სახალხო დამცველთან.

კანონმდებლობით არ უნდა შეეწყოს ხელი ნარკოტიკების გავრცელებას და არ უნდა გაიზარდოს ნარკომანების რიცხვი. მას, ვინც მკურნალობაზე თანახმაა, სახელმწიფო უნდა დაეხმაროს.

ვალერიან გორგილაძე: „მივესალმები მამუკა ბახტაძის იდეას, რომ ბიუროკრატიის ხარჯი უნდა იყოს ფიქსირებული და მიბმული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელზე“

საშინაო პოლიტიკაში აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ სოციოლოგ ვალერიან გორგილაძეს ესაუბრა.

– ბატონო ვალერიან, ახლა, როცა ქუჩის აქციებისა და მმართველ გუნდში შიდა გარჩევების შემდეგ პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი გადამდგარია, ქვეყანას ახალი პრემიერი და დროებითი მთავრობა ჰყავს, რომელიც 3 კვირაში შეიცვლება. ყველაზე აქტუალური თემაა, თუ როგორი იქნება მთავრობის ახალი შემადგენლობა. ახალი პრემიერ-მინისტრი მმართველ გუნდთან სტრუქტურულ ცვლილებებსა და „მცირე მთავრობის“ კონცეფციაზე კი მუშაობს, მაგრამ, ვიდრე ამ თემებზე პასუხები თავად პრემიერსა და მმართველ გუნდს არ აქვთ, თუ როგორი მთავრობა გვეყოლება და რა სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება, სრული სურათის წარმოდგენა ჭირს. არც კულტურისა და განათლების სამინისტროების, ასევე იუსტიციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროების გაერთიანების იდეა გამოიყურება სრულყოფილად, ისევე, როგორც მტკიცება იმისა, რომ ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების გაერთიანება შეუძლებელია. თქვენ როგორ შეაფასებდით იმ წინადადებებს, რომლებზეც ახალი პრემიერი და მმართველი გუნდი სამინისტროების გაერთიანებასა და სტრუქტურულ ცვლილებებზე საჯარო სივრცეში საუბრობენ?

– „მცირე მთავრობის“ კონცეფცია არ გულისხმობს მხოლოდ სამინისტროების და სხვა სახელმწიფო სტრუქტურული ქვეგანაყოფების მექანიკურ შემცირებას. მცირე მთავრობის კონცეფცია გულისხმობს პირველ რიგში მთავრობის და საერთოდ ბიუროკრატიის ეფექტიანობის გაზრდას და ამავე დროს ბიუროკრატიაზე გაწეული ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას. მოგეხსენებათ, პარკინსონის კანონის თანახმად, ბიუროკრატია ზრუნავს საკუთარ გამრავლებაზე. ჩინოვნიკი ყოველთვის პოულობს მიზეზს გაიჩინოს მრავალრიცხოვანი ხელქვეითი, გააფართოოს იერარქია და ყველა ახალ ჩინოვნიკს საქმე გაუჩინოს (იქაც, სადაც ამის მოთხოვნილება არაა). თუ ბიუროკრატიას წინააღმდეგობა არ შეხვდა, ბიუროკრატია გაიზრდება და იქცევა მონსტრად, რომელიც ყველაფერს გადაყლაპავს. ჰოდა, სანამ ბიუროკრატია არ იქცა ამ მონსტრად საჭიროა მისი მორჯულება. ამასთან დაკავშირებით მე მივესალმები მამუკა ბახტაძის იდეას იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუროკრატიის ხარჯი უნდა იყოს ფიქსირებული და მიბმული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელზე – ასე ბიუროკრატიას კონსტიტუციურად არ მიეცემა უსასრულო და უაზრო ზრდისა და გაფართოების შესაძლებლობა. გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაც უფრო დიდია ბიუროკრატია, მით უფრო მეტად მას უჩნდება სხვადასხვა რეგულაციების, შეზღუდვების დაწესების სურვილი. ჩვენს ქვეყანას კი სჭირდება ფორსირებული, სწრაფი განვითარება, რომელიც მიუღწეველია გამრავლებული, გაზულუქებული, ინერტული ბიუროკრატის პირობებში, რომლის საქმიანობაც ხშირად ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას. ამდენად, იგივე პარკინსონის მიხედვით, რაც უფრო მცირეა ბიუროკრატია, მით უფრო მცირეა რეგულაციებისა და შეზღუდვების რაოდენობა და მით უფრო მობილურია და ეფექტიანია ის!

– სტრუქტურულ ცვლილებებზე ბევრი საუბრის მიუხედავად, „ქართული ოცნება“, რომლის მმართველობის პირობებში სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებულთა რიცხვი კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა, ნეპოტიზმზე არა მარტო რეგიონებში, არამედ ცენტრალური ხელისუფლების დონეზე საკმაოდ ბევრი კრიტიკა ისმის, სერიოზული სტრუქტურული ცვლილებების მოლოდინი წარმოუდგენელიც კი ჩანს. თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, რა ტიპისა და რა სერიოზული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას ურჩევდით ხელისუფლებას?

– რჩევას უნდა იძლეოდეს ის, ვისაც გააჩნია სათანადო კომპეტენცია ამ ტიპის სტრუქტურული რეფორმების განხორციელებაში, მე უბრალოდ გამოვთქვამ ზოგიერთ მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ გარკვეული მიმართულებებით სავსებით შესაძლებელია პროექტ-მენეჯმენტის რეჟიმის დანერგვა, ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა პრიორიტეტული მიმართულებების გამოყოფა სხვადასხვა პოლიტიკებში და მათი ეფექტიანი განხორციელება, როდესაც ნათელი იქნებოდა ვინ არის პასუხისმგებელი კონკრეტული პროექტის განხორციელებაზე. თუ ბიუროკრატიას წინააღმდეგობა არ შეხვდა, ბიუროკრატია გაიზრდება და იქცევა მონსტრად, რომელიც ყველაფერს გადაყლაპავს. ეს სისტემა შეიძლება დაინერგოს სპორტშიც, კულტურაშიც, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და სხვა მიმართულებებით. ასე, ჩემი აზრით, მოხდებოდა საბიუჯეტო სახსრებისა და ბიუროკრატიის შენახვაზე განსაზღვრული სხვა თანხების შემცირება. ამასთან ერთად, ვფიქრობ, რომ შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა სახელმწიფო სერვისების გატანა აუთსორსინგზე, ანუ ამ სერვისების განკერძოება. ამასთან ერთად, სახელმწიფომ აღბათ უნდა გადახედოს პოლიტიკას საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (სსიპ-ისა) და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების ა(ა)იპ-ის მიმართებაში. ცნობილია, რომ ამ ტიპის 80-მდე ორგანიზაცია არსებობს და მათში დასაქმებული თანამშრომელთა რაოდენობა დაახლოებით 30 ათას ადამიანს შეადგენს. ჩემი აზრით, სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს მხოლოდ ის სსიპ-ი ან ა(ა)იპ-ი, რომელიც ფასიანი სერვისების მეშვეობით თავის თავს ინახავს.

– ბახტაძის მიერ გაჟღერებულმა ინიციატივებმა დატოვა განცდა, რომ ხელისუფლებამ გაითვალისწინა დამძიმებული სოციალური ფონი. სხვაგვარად, პოლიციელებისა და მეხანძრეებისთვის და ახალი სასწავლო წლიდან 7 ათასი მასწავლებლისთვის ხელფასის გაზრდა არ იკითხება. არც იმაზეა საუბარი, რომ „სილარიბის დაძლევა მცირე ბიზნესის წახალისებაზე გადის“ და „სოფლის მეურნეობაში არსებული რეგულაციები ხელს არ უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას“. თქვენზე რა შთაბეჭდილება დატოვა ახალი პრემიერის მიერ გაჟღერებულმა სამოქმედო გეგმების პრიორიტეტების ჩამონათვალმა?

– ახალი პრემიერის მიერ გახმოვანებული ინიციატივები, მის მიერვე წარმოდგენილი „მცირე მთავრობის“ კონცეფცია, ჩემი აზრით, უნდა იყოს განხილული იმ ფუნდამენტური მნიშვნელობის რეფორმებთან ბმაში, რომლის ინიცირება მოახდინა მამუკა ბახტაძემ ფინანსთა მინისტრად ყოფნის დროს. საბანკო რეგულაციები, საბუღალტრო წარმოების გამარტივება, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გადასახადების შემცირება, ინტენსიური საქმიანობა ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ადრე არ შეეძლო კრედიტის მოპოვება იმისთვის, რომ წამოეწყო საკუთარი საქმე. ყველაფერი ეს ბმაშია ერთმანეთთან. მამუკა ბახტაძეს გააჩნია თავისი ფილოსოფია, რომლის თანახმადაც შეუძლებელია წარმატებული, განვითარებული სახელმწიფოს შექმნა, თუკი ამ სახელმწიფოს არ გააჩნია სოციალურ და ეკონომიკურ სამართლიანობაზე აგებული ფუნდამენტი. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ავტომატურად არ ნიშნავს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და სადაც ასე ხდება ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა არ ვითარდება სწორი მიმართულებით. მაგალითად, ერთხანს ანგოლა აჩვენებდა 20%-იან ეკონომიკურ ზრდას, ამის მიუხედავად მისი მოსახლეობის სიღარიბე სულ უფრო ღრმავდებოდა და მეტად ინტენსიური ხდებოდა, მაშინ როდესაც მმართველი კლანი სულ უფრო მდიდრდებოდა. ცნობილია ასევე, რომ ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაკს 40 მილიარდ დოლარზე მეტი ქონება აღმოუჩნდა, რომელიც მან მოიპოვა ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ეგვიპტის ეკონომიკა მისი მმართველობის პერიოდში რამდენჯერმე გაიზარდა, მაგრამ ამ ზრდის ძირითად დივედენდებს მხოლოდ მმართველი ელიტა იღებდა, ეგვიპტეს მოსახლეობა კვლავ ებრძოდა სიღარიბეს. ჩვენთან არის შექმნილი ვითარება, როდესაც დემოკრატია უსწრებს ეკონომიკას, ეკონომიკა აჩვენებს საკმაოდ მაღალ ზრდის ტემპებს, ხოლო მისი ძირითადი დივიდენდებით სარგებლობს არა ბიუროკრატია ან საშუალო ბიზნესი, არამედ ბანკები და მსხვილი ოლიგოპოლიები. მივესალმები მამუკა ბახტაძის იდეას იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუროკრატიის ხარჯი უნდა იყოს ფიქსირებული და მიბმული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელზე – ასე ბიუროკრატიას კონსტიტუციურად არ მიეცემა უსასრულო და უაზრო ზრდისა და გაფართოების შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით, ერთნაირად ზარალდება ყველა, – სახელმწიფო თუ კერძო სექტორში დასაქმებული. მაგრამ, სახელმწიფო სექტორში არის რამდენიმე პროფესიული სტრატა, რომელსაც ახასიათებს განსაკუთრებული რისკი და დაუცველობა. ამ პროფესიულ ჯგუფებს მიეკუთვნებიან მეხანძრეებიც და პოლიციელებიც, მოწყვლად სოციალურ ჯგუფებს ასევე მიეკუთვნებიან მასწავლებლები და პენსიონერები. ამდენად, მამუკა ბახტაძემ თავის გამოსვლაში გამიზნულად, გააზრებულად გაამახვილა ყურადღება ამ სამიზნე ჯგუფებში. გასაგებია, რომ ამ ინიციატივების შედეგად არ უნდა ველოდოთ ამ ჯგუფების სოციალური მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას, მაგრამ ეს იყო ბახტაძეს სიგნალი, მინიშნება იმაზე, რომ მისი პოლიტიკის სხვა პრიორიტეტებთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება სამართლიანი, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერასთან ერთად იქნება ორიენტირებული ქვეყნის შემოსავლის სამართლიან განაწილებაზე.

– ფინანსთა მინისტრად მუშაობისას პრემიერი ბახტაძე შეეცადა, ბანკების საქმიანობაში შეეტანა მნიშვნელოვანი კორექტივები. ბევრი იმასაც კი პროგნოზირებს, რომ ახალ პრემიერსა და ბანკირებს შორის ურთიერთობების საკითხი საკმაოდ პრობლემატური იქნება. როგორც პრე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

საწვავი კიდევ 2-9 თეთრით გაძვირდა

ბოლო ორი კვირის განმავლობაში ზოგიერთ ბრენდირებულ სადგურზე საწვავი კიდევ გაძვირდა. კერძოდ, ფასებმა ზოგიერთი ტიპის საწვავზე 2-9 თეთრით მოიმატა.

როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ვებგვერდზეა აღნიშნული, დღეის მდგომარეობით, „გალფის“ ავტოგასამართ სადგურებზე 3 თეთრით მოიმატა „სუპერის“ ფასმა და 2.58 ლარი ღირს; 1 ლიტრი „G-Force პრემიუმის“ ფასი 2.37 ლარიდან 2.44 ლარამდე გაიზარდა; 9 თეთრით გაძვირდა „G-Force ევრო რეგულარი“ და 2.39 ლარი გახდა; 1 ლიტრი „რეგულარი“ კი 2.34 ლარი ღირს, მაშინ როცა 6 ივნისის მდგომარეობით, 2.25 ლარი იყო; „ევრო დიზელისა“ და დიზელის ღირებულება კი არ შეცვლილა და მათი ფასი შესაბამისად, 2.49 ლარი და 2.44 ლარია.

6 ივნისის შემდეგ საწვავის ფასი შეიცვალა „ლუკოილის“ სადგურებზეც. კერძოდ, „ევრო სუპერის“ ტიპის საწვავი 2.53 ლარი ღირს, მაშინ როცა 6 ივნისის მდგომარეობით, მისი ფასი 2.50 ლარი იყო, 3 თეთრით გაძვირდა „პრემიუმ ავანგარდი“ და 2.36 ლარი ღირს, 6 თეთრით მოიმატა „ევრო რეგულარის“ ფასმა და 2.26 ლარი გახდა; „ევრო დიზელის“ ფასი კი 2.30 ლარიდან 2.36 ლარამდე გაიზარდა.

რაც შეეხება სხვა ავტოგასამართ სადგურებს, „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე „ეკოპრემიუმის“ ღირებულება 5 თეთრით გაიზარდა და 2.52 ლარი ღირს; 4 თეთრით არის გაძვირებული 1 ლიტრი „ევრო რეგულარის“ ფასი და 2.42 ლარი ღირს; „დიზელ ენერჯის“ ფასი კი – 2.38 ლარიდან 2.42 ლარამდე არის გაზრდილი; 4 თეთრით გაძვირდა „ევრო რეგულარის“ ტიპის საწვავი და 2.42 ლარი ღირს; ამასთან, „ეფიხ ევრო დიზელი“ დღეის მდგომარეობით, 2.48 ლარი ღირს, მაშინ როცა 6 ივნისის მდგომარეობით, 2.45 ლარი იყო; ხოლო 1 ლიტრი „ევრო დიზელი“ 4 თეთრით გაძვირდა და 2.42 ლარი ღირს; „სუპერის“ ღირებულება კი 2 თეთრით გაიზარდა და 2.62 ლარი გახდა.

6 ივნისის შემდეგ ფასები არ შეცვლილა „სოკარის“ ავტოგასამართ სადგურებზე. კერძოდ, 1 ლიტრი „სუპერი“ – 2.58 ლარი ღირს,; „პრემიუმის“ ფასი – 2.45 ლარია; 2.33 ლარია 1 ლიტრი „რეგულარის“ ფასი; „ევრო დიზელი“ 2.45 ლარი; ხოლო დიზელი – 2.33 ლარია.

აღსანიშნავია, რომ საწვავის ფასის ცვლილების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ნავთობის საერთაშორისო ფასები სახელდება. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ნავთობის ფასები მცირდება მსოფლიოში. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ცნობით, 2018 წლის 21 ივნისის ვაჭრობის შედეგებით მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე ნავთობის ფასი შემცირდა.

იპნ

„უამრავ პრობლემას მხოლოდ გარემოს დაცვის ომბუდსმენი ვერ გადაჭრის“

რადიო კომერსანტზე პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ინიციატივას ეკოომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღების თაობაზე საქართველოს მწვანეთა მოძრაობა „დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე აფასებს.

– ინიციატივა ძალიან საინტერესოა, თუმცა სახელი აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მაგალითად, როგორც არ არსებობს „ფიზიკის ომბუდსმენი“, ისე ვერ იარსებებს ეკოომბუდსმენი, რადგან ეკოლოგია მეცნიერებაა. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ გარემოს დაცვის ომბუდსმენზე. ეს არის საინტერესო ცნება, ვინაიდან მას ინტერსექტორალური ინტერესების შესრულების ფუნქცია ექნება. მისი ამოცანა განპირობებული უნდა იყოს გარემოს დაცვის მიმართ არსებული ინტერსექტორალური პრობლემებით. რასაც სჭირდება დიდი მხარდაჭერა არა მარტო საზოგადოებიდან, არამედ შუალედური რგოლებიდანაც, ისეთი, როგორიც არის არასამთავრობო სექტორი და ომბუდსმენი.

მარტო გარემოს დაცვის ომბუდსმენი ვერ გადაჭრის იმ უამრავ პრობლემას, რომლებიც ამ მხრივ არსებობს საქართველოში. მას პირველ რიგში, უნდა დაეხმაროს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, რომელიც უნდა იყოს ცალკე უწყება. ძალიან ბევრი ვალდებულება გვაქვს აღებული, არა მარტო ევროკავშირის, არამედ საერთაშორისო ვალდებულებითა და კონვენციებით.

როდესაც პრემიერისგან მოდის გარემოს დაცვის ომბუდსმენის შექმნის ინიციატივა, ეს ნიშნავს იმას, რომ გარემოს დაცვის უწყება ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ამ უწყების გაერთიანებით, ვფიქრობ, მეტი ზიანი სოფლის მეურნეობას მივაყენეთ. ის ბუნებრივად კნინდება, რადგან სამინისტრო მიერთებულია გარემოს დაცვის უწყებასთან და ისინი ისტორიულად ანტაგონისტურად არიან ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულნი.

მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის კუთხით სხვადასხვა ღონისძიებების გატარება, აუცილებელია დიფერენცირებული ფასების შემოღება, რაც ნიშნავს იმას, რომ უნდა იყოს შეღავათიანი ტარიფი მინარევისთვის, რომელიც ბიოდეგრადირებული პლასტიკის ცელოფნებს ამზადებს. დიფერენცირებული და შეღავათიანი ფასები უნდა იყოს მწვანე ბიზნესისთვისაც. ვიმედოვნებ, გამკაცრდება ისეთი პლასტიკის შემოტანა, რომლებიც აღარ ექვემდებარებიან დაშლას. მნიშვნელოვანია ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც წყლის მართვის საკითხებს შეეხება, – ამბობს ნინო ჩხობაძე.

კომერსანტი

ვალერიან გორგილაძე: „მივესალმები მამუკა ბახტაძის იდეას, რომ ბიუროკრატიის ხარჯი უნდა იყოს ფიქსირებული და მიბმული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელზე“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მიერმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა, „ჭარბვალიანობა ახრჩობს მოსახლეობას. ე.წ. შავ სიაში 630 ათასი ადამიანია.“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში პრაქტიკულად საშუალო ფენა არ არსებობს. რამდენად გაქვთ იმის განცდა, რომ ახალი პრემიერი ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებთან გამკლავებას შეძლებს?

– საქმეც ისაა, რომ საბანკო სექტორი დღეს მართლაც იქცა ეკონომიკის განვითარების მუხრუჭად და ძირითად ფაქტორად, რომელიც აფერხებს ჩვენს საზოგადოებაში შემოსავლების სამართლიან განაწილებას. თქვენ აღნიშნეთ, რომ ქვეყანაში არის 600 ათასზე მეტი ადამიანი, რომელიც არის შესული ბანკების ე.წ შავ, პრობლემური გადამხდელების სიაში. ამას ემატება ისიც, რომ დასაქმებულების უდიდესი ნაწილი არის გაბმული ბანკების ხაფანგში. ჩვენს ირგვლივ დასაქმებული ადამიანების 70%-ზე მეტს აქვს აღებული სამომხმარებლო, იპოთეკური თუ სხვა სახის კრედიტები და სესხები. ლარის დევალვაციამდე ამ ხალხს უწევდა გარკვეული თანხის შეტანა კრედიტის დასაფარად, ლარის დევალვაციის შემდეგ მათ მნიშვნელოვნად გაუძვირდათ კრედიტის მომსახურება. სწორად ეს არის ჭარბვალიანობის პრობლემა, როდესაც კრედიტის მომხმარებელს უწევს თავისი ყოველთვიური ხელფასიდან 50%-ზე მეტის გადახდა კრედიტის დასაფარად. მამუკა ბახტაძეს მოუწევს მძიმე ბრძოლა უსამართლობასთან, რაც ნიშნავს ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციასა და წვდომას საშუალო და მცირე ბიზნესისთვის, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეს შეეძლება ქონების ჩადების გარეშე, მინიმალური საპროცენტო განაკვეთით, მაგალითად, წლიური 2-3%-იანი კრედიტის აღება ფინანსურ ინსტიტუციაში.

– კვირიკა შვილს ბევრი იმას საყვედურობდა, რომ იგი, ღარიბა შვილის მსგავსად, მმართველი პარტიის ლიდერი ვერ გახდა. ხელისუფლების ოპონენტები ახალ პრემიერზე საუბრისას ყურადღებას იმაზე ამახვილებენ, რომ ვიდრე საქართველოს პოლიტიკურ მოედანზე ივანიშვილია, მმართველი გუნდი მის გარეშე სერიოზულ გადაწყვეტილებებს არ და ვერ იღებს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი. თქვენი დაკვირვებით, რამდენად აქვს შანსი მამუკა ბახტაძეს, რომ მმართველი გუნდის ლიდერი გახდეს?

– მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება საჯარო პოლიტიკაში მმართველი პარტიის თავმჯდომარეობის მეშვეობით არსებითად ხსნის ამ მანამდე არსებულ დუალისტურ აუცილებლობას, როდესაც ქვეყნის პრემიერი აუცილებლად უნდა ყოფილიყო იმავდროულად პარტიის ლიდერიც. მამუკა ბახტაძის წინაშე დგას რამდენიმე სერიოზული გამოწვევა, მას მოუწევს გარდატეხის შეტანა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში. აქედან გამომდინარე, მხოლოდ მივესალმები მმართველ ელიტაში ამგვარი ფუნქციებისა და კომპეტენციების გადანაწილებას.

– მიიჩნევა, რომ ივანიშვილმა პრემიერად მამუკა ბახტაძე იმის გამო შეარჩია, რომ დამძიმებულ სოციალურ ფონზე ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია. სულ ცოტა ხნის წინ ივანიშვილი პრემიერ-მინისტრად გიორგი გახარიას მოიაზრებდა. თქვენი დაკვირვებით, ბიძინა ივანიშვილმა პრემიერის შერჩევისას რატომ გააკეთა არჩევანი მამუკა ბახტაძეზე და არა გიორგი გახარიაზე? იმის გამო ხომ არა, რომ უკანასკნელ დღეებში გახარიამ ლიდერის ხასიათი გამოავლინა?

– მე ვერ გავაკეთებ კომენტარს ვარაუდებზე, მით უფრო, რომ მსგავსი ტიპის ინსაიდერულ ინფორმაციას არ ვფლობ. მე შემიძლია გამოვთქვა ვარაუდი თუ რატომ აირჩია მმართველმა გუნდმა, რა თქმა უნდა ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით, პრემიერ-მინისტრად მამუკა ბახტაძე და არა სხვისი კანდიდატურა. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ცნობილია, რომ ფინანსთა მინისტრის რანგში მამუკა ბახტაძემ უკვე განახორციელა მთელი რიგი ძალზედ მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელთა მოწონება, მათ შორის, მოხდა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან. ეს ინიციატივებია: 1. სესხის გაცემისას შემოსავლების სავალდებულო შემოწმება და, ამავდროულად, სესხის მომსახურების მაქსიმალური ლიმიტის განსაზღვრა, რათა მომხმარებელმა კრედიტის გადახდა მარტივად შეძლოს; 2. სესხების რესტრუქტურიზაცია, თუკი მომხმარებელს წარსულში სესხი მაღალ პროცენტში ჰქონდა აღებული, რეფორმის შემდეგ მისი საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება და არსებულ ლიმიტს დაექვემდებარება, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ჭარბვალიანობის შემცირებას; 3. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 იანვრამდე მომხმარებელს სესხის დაახლოებით 300%-ის გადახდა უწევდა, ამ დროიდან შემოღებული კანონის შედეგად კი ეს მაჩვენებელი 100 %-მდე დავიდა, ხოლო მას შემდეგ, რაც რეგულაცია ამოქმედდება, საპროცენტო მაჩვენებელი 49%-ს აღარ გადასცდება, ანუ მომხმარებელს მინიმუმ 6-ჯერ ნაკლები თანხის გადახდა მოუწევს, ვიდრე ეს 2017 წლამდე ხდებოდა. აღნიშნული რეფორმა პირდაპირ არის მიმართული ჭარბვალიანობის შემცირებისთვის და მიუხედავად კომერციული ბანკების მცირე ნაწილის მძლავრი წინააღმდეგობისა, მას დადებითად აფასებს მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი სარეიტინგო ორგანიზაცია Moody's. ამასთან ერთად, ბახტაძეს, ჩემი ინფორმაციით, აქვს ძალზედ ამბიციური გეგმები განათლების სისტემის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ყოველივე ამას სჭირდება გაფართოებული მანდატი, მმართველი გუნდის სრული კონსოლიდაცია დასახული მიზნების მისაღწევად. ამიტომაც, ეკონომიკის ფორსირებული ზრდა, დოვლათის და შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება, განათლების რეფორმა, ფინანსური კაპიტალის ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, ყველა ამ ამოცანის შესასრულებლად ყველაზე რელევანტური და ლოგიკური კანდიდატი აღმოჩნდა მამუკა ბახტაძე.

– საჯარო სივრცეში შს მინისტრი გიორგი გახარია საკმაოდ სოლიდურად კი გამოიყურება, მაგრამ, სამწუხაროდ, კრიმინოგენური ვითარება სულ უფრო მძიმდება, ფაქტია. ზოგის მტკიცებით, კრიმინალი მნიშვნელოვნად გაზრდილია. საქმეში ჩახედული ხალხი მიიჩნევს, რომ გახარიამ შს მინისტრობას იმის გამო ვერ გაართვა თავი, რომ იგი პრემიერობისთვის ემზადებოდა, რის გამოც უწყებაში მისვლისთანავე წინა ხელისუფლების „გამოცდილ“ კადრებს დაეყრდნო, რომლებმაც მას სისტემიდან ისეთი კადრები გააშვებინეს, რომლებსაც წინა ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებსა და დანაშაულებში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული. მათივე მტკიცებით, შსს-ს ქვედა რგოლში უკმაყოფილება საკმაოდ დიდია და პოლიციელებისთვის 250 ლარით ხელფასის გაზრდა საქმეს ვერ უშველის. მათივე აზრით, თუ მინისტრმა გახარიამ უწყებაში საკადრო პოლიტიკაში სერიოზული კორექტივები არ განახორციელა, არ არის გამორიცხული, იგი მალე თავად დაემშვიდობოს თანამდებობას... თქვენი დაკვირვებით, რამდენად საფუძვლიანად გამოიყურება გახარიას მიმართ პრეტენზიები?

– მე არ მაქვს იმის განცდა, რომ გახარია ვერ ართმევს თავს შს მინისტრობას. მეტიც, ის ყველაზე დამაჯერებლად გამოიყურება ამ პოსტზე. სტრუქტურული, საკადრო თუ სხვა სახის პრობლემები არსებობს ყველგან, მაგრამ, ჩემი აზრით, გახარია სარგებლობს მხარდაჭერით არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ შსს სისტემაშიც. მან გამოავლინა სიმტკიცე და მშვიდი გამბედაობა ქუჩის აქციების დროს, ის ძალიან კარგად და დამაჯერებლად გამოიყურება საჯარო სივრცეში. ცნობილია, ასევე, რომ გახარიას აქვს შემუშავებული და წარდგენილი შსს-ს რეფორმირების გეგმა, რომლის მიხედვითაც გაძლიერდა საგამოძიებო კომპონენტი, მოხდება ოპერატიული სამსახურების მხარდაჭერა და ამასთან ერთად შინაგან საქმეთა მინისტრი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სისტემაში არსებული ფუნქციების სტრუქტურულ გადანაწილებას.

– არ ცხრება კამათი იუსტიციის მინისტრად თეა წულუკიანის ყოფნა-არყოფნის თაობაზე. ახლა, როცა იუსტიციის სამინისტროსა და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ პრეტენზიები საკმაოზე მეტია, ახალმა პრემიერმა წულუკიანი უნდა დატოვოს თუ არა მთავრობის ახალ შემადგენლობაში?

– მეც მაქვს პრეტენზიები იუსტიციის მინისტრის მიმართ, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს იმის თქმას, რომ მას შეხვდა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა იმ სისტემიდან, რომელიც თავისი არსით რეპრესიული იყო და რომელიც დიდწილად იმართებოდა იმ ინსტიტუციების მეშვეობით, რომელთა ხელმძღვანელობაც უწევს დღეს თეა წულუკიანს. ამის მიუხედავად, წულუკიანს აქვს აქტივში წარმატებული მოქმედებები, მათ შორის საერთაშორისო სასამართლო პროცესებში. გარდა ამისა, თეა წულუკიანს გააჩნია პრინციპული და უკომპრომისო პოზიცია ბევრ საკითხთან დაკავშირებით და ეს პოზიცია ჩემში იწვევს სიმპათიას.

– ვრცელდება ხმები, რომ მთავრობის ახალ შემადგენლობაში, კერძოდ, განათლების მინისტრად შეიძლება შეირჩეს პიროვნება, რომელიც უნივერსიტეტებიდან წინა ხელისუფლების დავალებით ხელისუფლებისათვის არასასურველი კადრების შევიწროებაში მონაწილეობდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ლოიალობის უზრუნველსაყოფად ხელისუფლება კადრებს იმის მიხედვით არჩევს, ვისაც, როგორც მინიმუმ, მორალური დანაშაული მაინც აქვს ჩადენილი. როგორც ჩანს, მართლმსაჯულების სისტემაში არსებულმა ვითარებამ ხელისუფლებას არც არაფერი ასწავლა. თქვენ ასე არ თვლით?

– მე არ მაქვს მსგავსი ინფორმაცია და, შესაბამისად, ვერ გავაკეთებ კომენტარს ამ საკითხთან დაკავშირებით.

– გვერდს ვერ ავუვლით უკანასკნელ პერიოდში ქუჩაში განვითარებულ პროცესებსა და მის შედეგებს. „ნაციონალები“ და მათთან დაახლოებული პარტიები აღარც მალავენ, რომ ქუჩის აქციების უკან ისინი იდგნენ. როგორადაც არ უნდა იყოს, ფაქტია ისიც, რომ ამ აქციებმა შიდა პოლიტიკაში არსებული არაერთი პრობლემა გააშიშვლა. თქვენ როგორ შეაფასებდით ერთი მხრივ ამ პროცესებს და მეორე მხრივ – მის შედეგებს?

– გეთანხმებით, რომ უკანასკნელ დრომდე ქუჩის აქციებმა გამოავლინა ხელისუფლებაში არსებული პრობლემები. ხელისუფლებაში არსებულ პრობლემებს აქვს როგორც სისტემური, ასევე პერცეპციული ხასიათი. მაგალითად, სარალიძეს კრიზისმა, გვაჩვენა რომ სისტემური ხარვეზი არსებობს პროკურატურასა და სასამართლო სისტემებში. ამასთან ერთად, აღქმის დონეზე, სახელმწიფო მართვის სისტემა გამოიყურება ძალზე არაეფექტურად, ის ტოვებს ტლანქი, ინერტული სისტემის შთაბეჭდილებას. ჩინოვნიკები, მათ შორის უმაღლესი რანგის, საუბრობენ გაუგებარ, არაფრის მთქმელ ენაზე, მათ უჭირთ კომუნიკაცია საზოგადოებასთან, ხელისუფლებას აკლდა შინაგანი დრაივი, ენერგეტიკა. ხელისუფლება არ იყო დამაჯერებელი. ერთადერთი ჩინოვნიკი, რომელიც დამაჯერებლად ურთიერთობდა მოსახლეობასთან კრიზისის დროს და გამონახა რელევანტური დისკურსი საპროტესტო აუდიტორიასთან, იყო გიორგი გახარია. მეორე მხრივ, ჩვენ დავინახეთ, რომ ქვეყანაში არ არსებობს პასუხისმგებლიანი ოპოზიცია, არსებობს მხოლოდ ოპოზიციის მახინჯი, დისკრედიტირებული, მარგინალური სიმულაკრი, რომელსაც სწორად, ამის გამო აქვს უნიკალური თვისება – ის აქრობს და კლავს ნებისმიერ სოციალურ პროტესტს, რომელსაც მიეკარება და რომლის გამოყენებასაც სათავისოდ ცდილობს.

კომერსანტი

ქართველმა სამართალდამცავებმა რუსეთის მოქალაქე დააკავეს

რას ედავებიან 60 წლამდე მამაკაცს

ქართველმა სამართალდამცავებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლისა და კახეთის პოლიციის დეპარტამენტების, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს, ასევე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1959 წელს დაბადებული ვ.ე. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული სასაზღვრო-გამშვები პუნქტი „დარიალის“ ტერიტორიაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც რუსეთის მიმართულებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ვ.ე.-მ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბში უკანონოდ შეიძინა 1991 წელს დაბადებული შ.დ.-ს სახელზე რეგისტრირებული „გლოკ-17“-ის მოდელის პისტოლეტი, რომელიც თავისი კუთვნილი ავტომანქანით რუსეთის ფედერაციაში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით გადაჰქონდა.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის ავტომანქანის ჩხრეკისას, მის მიერ უკანონოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა- გადაზიდვის ფაქტზე, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გასაღების მომზადების და საქართველოს საბაჟო საზღვარზე ცეცხლსასროლი იარაღის წესის დარღვევით გადატანის მცდელობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, 18-236-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და 19-214-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს.

ჯგუფური ყაჩაღობა სენაკში

პოლიციამ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, დანაშაულებრივი ჯგუფის 3 წევრი: 1974 წელს დაბადებული ს.კ., 1977 წელს დაბადებული კ.ტ. და 1992 წელს დაბადებული გ.ბ. დააკავეს.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ შეიარაღებული ბრალდებულები მიმდინარე წლის 19 ივნისს სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში ყაჩაღურად თავს დაესხნენ ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლს და სამკაულები გაიტაცეს.

სამართალდამცველებმა, ასევე, დაადგინეს, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა – ს.კ.-მ და გ.ბ.-მ მიმდინარე წლის 28 მაისს მარტვილში 2 მოქალაქის საცხოვრებელი სახლი დაყაჩაღეს.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, 3 ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო ვაზნები და ყაჩაღობის შედეგად წაღებული ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ყაჩაღობის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

„ვარკეთილის“ მეტროში ჭერის ჩამონგრევის საქმეზე ბრალდებულებს 35-35 ათას ლარიანი გირაო შეეფარდათ

მეტროსადგურ „ვარკეთილის“ ჭერის ჩამონგრევის საქმეზე ბრალდებულ სამივე პირს აღკვეთის ღონისძიების სახით 35-35 ათას ლარიანი გირაო შეეფარდა.

ბრალდება 50.000-ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა, რაც საბოლოოდ მოსამართლემ არ გაითვალისწინა.

ყვარელრემმშენის დირექტორსა და ინჟინერს ბრალი სამშენებლო სამუშაოების უხარისხოდ წარმოებასა და უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო აქვთ წაყენებული.

ბრალის წაყენების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი კი ექსპერტიზის დასკვნა გახდა.

პროკურატურაში ასევე ცალკე წარმოებად რჩება ამავე ფაქტზე საჯარო მოხელეების მიმართ მიმდინარე საქმეც.

როგორც ცნობილია, სარემონტო სამუშაოების ხარისხი მერიის სატრანსპორტო სამსახურს უნდა გაეკონტროლებინა. ამ ეტაპზე ამ კუთხით საგამოძიებო უწყებას პასუხისგებაში არავინ ჰყავს მიცემული.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის 30 იანვარს მეტროსადგურ „ვარკეთილში“ ე.წ. შეკიდული ჭერის ჩამონგრევის შედეგად 14 ადამიანი დაშავდა.

თბილისში, ფილარმონიასთან, მოზარდი დაჭრეს

თბილისში, ფილარმონიასთან, ახალგაზრდებს შორის მომხდარი ჩხუბის დროს 16 წლის მოზარდი დაჭრეს.

შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. მოზარდს დაზიანება ბასრი საგნით, ხელის არეში აქვს მიყენებული. დაშავებულს ოპერაცია ჩაუტარდა და ამ დრომდე საავადმყოფოში რჩება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას.

6 თვის ტყუპებზე მოძალადე ძიძა: „ვაღიარებ, რომ არასწორად მოვიქეცი“

– ვაღიარებ, რომ ცუდად მოვიქეცი. არ უნდა გამეკეთებინა ნამდვილად.

ამის შესახებ 47 წლის ძიძამ, რომელიც 6 თვის ტყუპებს სისტემატურად სცემდა, სასამართლო პროცესზე განაცხადა.

საქალაქო სასამართლოში ძიძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმსჯელეს და მას წინასწარი პატიმრობა განუსაზღვრეს.

– ვაღიარებ, რომ ცუდად მოვიქეცი. არ უნდა გამეკეთებინა ნამდვილად. მაგრამ ეს იყო პირველი შემთხვევა და, თუ გაითვალისწინებთ, არსად არ ვაპირებ მიმალვას. მაშინვე ვუთხარი, რომ არსად არ გავრბივარ. ვაღიარებ, რომ არასწორად მოვიქეცი, – განაცხადა 6 თვის ტყუპებზე მოძალადე ძიძამ.

მოსამართლემ 47 წლის ქალს აღკვეთის სახით პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლო პროცესს ტყუპების მშობლები და ბრალდებულის ოჯახის წევრები არ დასწრებიან. მოძალადე ძიძას 2 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

გამოძიება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული ი. ტ. მცირეწლოვნებზე ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, რომელიც ერთ-ერთ ოჯახში ძიძად მუშაობდა, 2017 წელს დაბადებულ ტყუპ და-ძმას, სისტემატურად სცემდა. ბინაში ოჯახის წევრების მიერ ფარულად დამონტაჟებულმა ვიდეოსათვალთვალო კამერამ ბავშვებზე მისი ძალადობრივი ქმედება დააფიქსირა, რის შესახებაც მცირეწლოვნების დედამ პოლიციას შეატყობინა.

„ღამის კლუბთან მოტოციკლის მოპარვისთვის ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისა და სხვისი ნივთის დაზიანებისთვის ნასამართლევი რ.გ., ქურდობის ფაქტზე დააკავეს.

მის მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 24 ივნისს ერთ-ერთ ღამის კლუბში ღონისძიებაზე მყოფი სტუმრის, დ.ლ.-ს კუთვნილი მოტოციკლი ამავე კლუბის მიმდებარე ტერიტორიიდან მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიმალვა ცადა.

სამართალდამცველებმა ის მომხდარიდან რამდენიმე წუთში, ცხელ კვალზე დააკავეს. მოპარული მოტოციკლი კი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

საგამოძიებო მოქმედებების დასრულებისთანავე, სატრანსპორტო საშუალება კანონიერ მფლობელს დაუბრუნდება.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

რუსთავში 7 წლის გოგონა დაჭრეს

რუსთავში, ღეონიძის ქუჩაზე, №14 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე 7 წლის ბავშვი დაჭრეს.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, მოზარდი ეზოში საბავშვო ატრაქციონზე თამაშობდა, როდესაც მას ტყვია შემთხვევით მოხვდა. ჭრილობა 7 წლის გოგონას მუცლის არეში აქვს მიყენებული. დაშავებულს ტყვია, სავარაუდოდ, პნევმატური იარაღიდან აქვს ნასროლი.

მცირეწლოვანი რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– დაჭრილის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია. პაციენტს ყველა საჭირო სამედიცინო მომსახურება უტარდება. ჭრილობა აქვს მიყენებული პნევმატური იარაღით, მოხდა უცხო სხეულის ამოღება პაციენტის სხეულიდან, – განაცხადა ექიმმა დავით გოგოძემ.

როგორც შსს-ში „ინფო რუსთავს“ განუცხადეს, გამოძიება 126-ე პირველი პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც არასრულწლოვანის მიმართ ძალადობას გულისხმობს.

25 წლის გოგონა, რომელზეც ძმა და მეუღლე ძალადობდნენ, თავშესაფარშია გადაყვანილი

ოჯახური ძალადობის მსხვერპლი 25 წლის ქუთაისელი გოგონა თავშესაფარშია გადაყვანილი. სოციალური სამსახურის ინფორმაციით, მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

3 წლის შვილთან ერთად ქუთაისში მცხოვრებ გოგონას სიტყვიერი შეურაცხყოფა ძმამ მიაყენა.

ახალგაზრდა ქალი აცხადებს, რომ მას ძმა და მეუღლე ფიზიკურ შეურაცხყოფას ხშირად აყენებდნენ. ამჯერად მისი ძმასთან დაპირისპირების მიზეზი გოგონას მეუღლის დაკავება გახდა, რომელიც სამართალდამცველებმა ასევე მასზე ძალადობის ფაქტზე 19 ივნისს აიყვანეს.

თავშესაფარში გადაყვანის თხოვნით გოგონამ პოლიციას თავად მიმართა.

ბათუმში ქორწილში 100 სტუმარი მოიწამლა

მასობრივი მოწამვლის ფაქტი დაფიქსირდა ბათუმში – ძლიერი ინტოქსიკაციით ასამდე ადამიანი ქალაქის სხვადასხვა კლინიკაშია გადაყვანილი.

დაზარალებულები საქორწილო წვეულების სტუმრები არიან. ისინი სარიტუალო დარბაზ „კახაბერში“ იმყოფებოდნენ. მათი ნაწილი მკურნალობას საავადმყოფოებში განაგრძობს.

მოწამლულთა შორის არიან არასრულწლოვნებიც. ერთ-ერთი მათგანი დედათა და ბავშვთა ცენტრშია მოთავსებული. ექიმების თქმით, ყველა პაციენტს ერთი და იგივე სიმპტომები აქვს – ცხელება, პირღებინება და დიარეა.

კონკრეტულად რა გახდა ინტოქსიკაციის მიზეზი, ამას ექსპერტიზა დაადგენს.

– ჩემი შვილიც მოიწამლა. ბათუმში სადმე თუ საავადმყოფო იყო, ყველგან გვყავდა მიყვანილი. ყველგან ავადმყოფები იყვნენ. იმდენად ცუდად ვიყავი, ვერც კი მოვახერხე ვინმეს დავკავშირებოდი, იქნებ რამეში დაგვხმარებოდა. დარბაზს რომ მივმართე, აქ მოწამლული არავინ არისო, მითხრა. როცა ასი კაცი იწამლება, ერთი სახის რაღაცით არ არის მოწამლული ადამიანი. გაურკვეველია, ვინ რა მიირთვა, – განაცხადა ერთ-ერთმა დაზარალებულმა.

შსს-მ შრი-ლანკის რვა მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, N1 სამმართველოს (ბათუმი) N3 სასაზღვრო სექტორის (გორგაძეთი) დასაცავ მონაკვეთზე შრი-ლანკის 8 მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დაკავეს.

როგორც შსს-დან „ინტერპრესნიუსს“ აცნობეს, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით, უკანონოდ, ჯგუფურად ცდილობდნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას.

მათივე ცნობით, გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.
მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ლუკაშენკო: „ბელორუსმა შესაძლოა დამოუკიდებლობა დაკარგოს“

სააკაშვილი პუტინს უსწრებს

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მის ქვეყანას დამოუკიდებლობის დაკარგვა ემუქრება. ეკონომიკური მაჩვენებლები სავალალოა და, თუ გარდატეხის მიღწევა ვერ მოხერხდა, ბელორუსი, როგორც სუვერენული სახელმწიფო, არსებობას შეწყვეტს.

– ჩვენ რომელიმე სახელმწიფოს პროვინცია გავხდებით! – თქვა პრეზიდენტმა.

ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ ყველაფერს იღონებს, რათა ეკონომიკური მაჩვენებლები გაუმჯობესდეს. ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცავად ომს არ დაიწყებს.

– ჩვენ უკრაინელები არ ვართ! არც ერთი იდეა, თუნდაც დამოუკიდებლობისა, ადამიანის სიცოცხლედ არ ღირს, – ამბობს ლუკაშენკო.

ბელორუსების 46% რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე ყაბულსაა.

საინტერესო შედეგები აჩვენა ბელორუსის პრეზიდენტის შესახებ. 2018 წლის თებერვალში პირველ ადგილზე პუტინი გავიდა. მას ორი პროცენტით მიხეილ სააკაშვილი ჩამორჩებოდა. ახლა ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: სააკაშვილი 41,5%, პუტინი – 40%. ალექსანდრე ლუკაშენკო 18%-ით მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

პუტინის რეიტინგი მკვეთრად დაეცა



თანახმად უკანასკნელი მონაცემებისა, ვლადიმერ პუტინის რეიტინგი მკვეთრად დაეცა.

თუ 1 თვის წინ ის 77%-ს აღწევდა, ახლა 62%-ია. შეკითხვაზე, ენდობით თუ არა პუტინს, დადებითი პასუხი 30%-მა გასცა. მაისში ეს მაჩვენებელი 38%-ს აღწევდა.

პუტინის რეიტინგი 2013 წლის, ანუ ყირიმის ანექსიამდელ მაჩვენებელს გაუტოლდა.

აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრი რუს კოლეგას შეხვდება

აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრი, რიკ კერი, თავის რუს კოლეგა ნოვაკს შეხვდება. სავარაუდოდ, ეს 26 ივნისს ვაშინგტონში მოხდება.

რუსეთი და აშშ ენერგეტიკის სფეროში კონკურენტები არიან. ეს განსაკუთრებით პროექტ „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის შემდეგ წარმოჩნდა. კერი-ნოვაკის შეხვედრის მიზანი ამ წინააღმდეგობების ჩაცხრობა და შეხების წერტილების გამოძებნაა.

უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა ავტოკეფალიას მხარს უჭერს

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოსი) მრევლის უმრავლესობა კიევის საპატრიარქოს ავტოკეფალიას მხარს უჭერს. ამის თაობაზე კიევის საპატრიარქოს წარმომადგენელმა, ეპისკოპოსმა ზორიამ განაცხადა.

– მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი უკრაინული ეკლესიის მრევლის ორი მესამედი ჩვენს ავტოკეფალიას მხარს უჭერს, – თქვა მან.

ამას გარდა, მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი რიგი ეპარქიები მზად არიან, კიევის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადავიდნენ. მიზეზი ზოგიერთი მღვდელმთავრის უღირსი საქციელია. მათ ამბიონიდან დაიწყეს ქადაგება, რომ უკრაინელობა სატანის გამონაგონია, რათა ერთიანი რუსული ორგანიზმი დაშალოს. ეს ეპისკოპოსები დონბასში რუსული არმიის გამარჯვებაზე ლოცულობენ.

ამან მრევლსა და მღვდლებს შორის კონფრონტაცია გააღვივა.

უკრაინის მოსახლეობის 87% კიევის საპატრიარქოს მომხრეა. უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა ავტოკეფალიას მხარს უჭერს.

გაერო დნესტრისპირეთიდან რუსული არმიის გაყვანას მოითხოვს

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დნესტრისპირეთიდან რუსული არმიის გაყვანის რეზოლუცია მიიღო. მას მხარი აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა. რუსეთმა ვეტოს გამოყენება ვერ გაბედა.

გაეროში რუსეთის წარმომადგენლის მოადგილე პოლიანოვსკიმ რეზოლუციას დაჩქარებული უწოდა. მისი აზრით, მოლდოვაში აღნიშნულ საკითხზე კონსენსუსი არ არსებობს.

მოლდოვის პრეზიდენტ დოდონის განცხადებამ ეს დაადასტურა.

– გაეროს რეზოლუცია ნაჩქარევი და უგუნურია! ის მოსკოვისა და კიშინიოვის ურთიერთობების გამწვავებისკენაა მიმართული, – თქვა დოდონმა.

დნესტრისპირეთში 1.500 რუსი ჯარისკაცი იმყოფება. მათ შეიარაღებაშია ტანკები, ქვემეხები, ავიაცია, რაკეტები.

აშშ-მ და სამხრეთ კორეამ ერთობლივი მანევრები შეაჩერეს

აშშ-სამხრეთ კორეის სამხედრო სწავლებები შეჩერებულია. ამის თაობაზე პენტაგონის პრესცენტრი იუწყება.

– აღნიშნული მანევრები სინგაპურის შეთანხმების რეალიზაციას ხელს უშლიდა. ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ ისინი დროებით შევაჩეროთ, – ნათქვამია შეტყობინებაში.

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი აშშ-ისა და სამხრეთ კორეის ერთობლივი წვრთნების გამო უკმაყოფილებას არაერთგზის გამოთქვამდა. სინგაპურის სამიტის შემდეგ ვაშინგტონმა გადაწყვიტა, მისი ხუშტურები დაეკმაყოფილოს.

ბულგარეთს ევროკავშირის საზღვრების ჩაკეტვა სურს

ბულგარეთის პრემიერი ბორისოვი ტელეფონით თავის უნგრელ კოლეგა ორბანს დაუკავშირდა.

საუბრის ძირითადი თემა ევროკავშირის საზღვრებზე კონტროლის განმტკიცება იყო.

ბორისოვმა განაცხადა, რომ სამხრეთ ევროპის ქვეყნებმა საზღვრებზე კონტროლი უნდა გაამკაცრონ, რისთვისაც კოორდინირებულად მოქმედებაა აუცილებელი.

– ზომები დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ, – თქვა ბორისოვმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მექსიკაში 14 ადამიანი მოკლეს

მექსიკის ქალაქ ხუარესში მომხდარი სამი თავდასხმის შედეგად 14 ადამიანი მოკლეს.

აღნიშნული ქალაქი ცნობილია თავისი სისასტიკითა და ნარკობიზნესით.

უსაფრთხოების ძალების თანამშრომელთა განცხადებით, ერთ-ერთი თავდასხმა ქალაქის სამხრეთ ნაწილში მოხდა, სადაც 8 მამაკაცი მექსიკასა და სამხრეთ კორეას შორის საფეხბურთო მატჩის საყურებლად შეიკრიბა.

შეიარაღებულმა მამაკაცმა 6 პირი მოკლა, ორი კი მძიმედ დაჭრა. ქალაქის კიდევ ერთ ნაწილში, სადალაქოში 5 მამაკაცს ავტომანქანიდან გაუხსნეს ცეცხლი, ცოტა ხნით ადრე კი ქალაქის გარეუბანში 3 ადამიანი მოკლეს.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ივნისში ამ ქალაქში 128 ადამიანია მოკლული.

რუსეთმა სირიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე საჰაერო იერიში მიიტანა

გუშინ, 24 ივნისს, დილით, რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა სირიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე საჰაერო იერიში მიიტანეს.

აღნიშნული ტერიტორია გეოპოლიტიკურად ყველაზე კომპლექსური და ფეთქებადსაშიში რეგიონი იყო შვიდწლიანი ომის განმავლობაში.

ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ბრძოლების ესკალაცია იორდანიას დესტაბილიზაციით ემუქრება, ხოლო ათასობით მშვიდობიან მოქალაქეს – საცხოვრებელი ადგილის დატოვებით.

თეთრი სახლის პრესმდივანი, სარა სანდერსი, რესტორნიდან გამოაგდეს

თეთრი სახლის პრესმდივანი, სარა სანდერსი, გამოაგდეს რესტორან „რედ ჰენიდან“, რომელიც ვირჯინიის შტატში მდებარეობს.

ამის შესახებ სანდერსმა „ტვიტერის“ პირად გვერდზე დაწერა.

„გასულ საღამოს „რედ ჰენის“ მეპატრონემ ლეკსინგტონში დაწესებულების დატოვება მომთხოვა, რადგან მე ამერიკის პრეზიდენტთან ვმუშაობ და მეც თავაზიანად წამოვედი. მისი ქმედებები მასზე უფრო მეტს ამბობს, ვიდრე ჩემზე. ყოველთვის პატივისცემით ვექცევი ყველას, მათ შორის მათაც, რომლებსაც არ ვეთანხმები და ასე გავაგრძელებ“, – წერს სანდერსი.

თეთრი სახლის პრესმდივანი რესტორანში ოჯახის წევრებთან ერთად მივიდა. ოფიციანტი მას მოემსახურა. რესტორნის მეპატრონე სტეფანი უილკინსონმა განმარტა, რომ რესტორნის თანამშრომლებმა დაურეკეს, რომ მათთან სარა სანდერსი იმყოფებოდა. ის თავად მივიდა რესტორანში, რომ ფაქტში დარწმუნებულიყო. მან თეთრი სახლის პრესმდივანს სთხოვა, წასულიყო, მის შეკვეთაზე ფულის გამორთმევაზეც უარი თქვა და აღნიშნა, რომ მის ხარჯებს რესტორანი გადაიხდიდა.

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგი, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

ბელგიას ვერ აჩერებენ, გერმანია წვალობს

ბელგია-ტუნისი 5:2

მოსკოვი. ოტკრიტიე

1:0 აზარი (6პ), 2:0 ლუკაკუ (16), 2:1 ბრონი (18), 3:1 ლუკაკუ (45), 4:1 აზარი (51), 5:1 ბაჩუაი (90), 5:2 ჰაზრი (90)

ბელგია: კურტუა, ვერტონგენი, ალდერვეირელდი, მენე, ბოიატა, ვიტსელი, დე ბრიუნე, კარასკო, აზარი (ბაჩუაი 68), მერტენსი (ტილემანსი 86), ლუკაკუ (ფელაინი 59)

ტუნისი: ბენ მუსტაფა, ს.ბენ იუსეფი (ბენალუნი 41), მალული, ბრონი (ნაგუეზი 24), სასი (ჰადადი 59), სპინრი, ჰაუი, მერია, ჰაზრი, ბადრი, ფ.ბენ იუსეფი

ჯერჯერობით, ბელგიის ნაკრები მოურიდებლად მიიწევს წინ. ალბათ, ტყუილად არ შეურაცხავთ რობერტო მარტინესის გუნდი ერთ-ერთ ფავორიტად.

ტუნისთან მატჩში პირველივე წუთებიდანვე ნათელი გახდა რომ, ტუნისელები წინააღმდეგობასაც ვერ გაუწევდნენ ბენილუქსელებს. უკვე მე-16 წუთზე ბელგია 2:0-ს იგებდა. მართალია, ერთი საპასუხო გოლი მალევე გაუშვა, მაგრამ მატჩის მიმდინარეობა ისეთი იყო, რომ ეს ხელს ვერ შეუშლიდა. 5 გოლი და უამრავი საგოლე მომენტი. თანაც, ამ ყველაფერს ბელგიელები მაღალ სისწრაფეზე აკეთებდნენ.

თუმცა, ამის საშუალება ტუნისელებმაც მისცეს, რომლებიც არ ერიდებოდნენ „ღია ბრძოლაში“ თამაშს. სწორედ ეს არის დამღუპველი გუნდისთვის, რომელიც ბელგიას ეთამაშება. სივრცეების გახსნა და მარტინესის გუნდის ათამაშება გარდაუვალია.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **რომელუ ლუკაკუ**

ბელგიელთა ბომბარდირი შეუჩერებელია. მოედანზე სულ ერთი საათი გაატარა და ბევრი რამ მოასწრო. პირველ რიგში დუბლი, რომლითაც კრიშტიანუ რონალდუს დაეწია.

კორეა-მექსიკა 1:2

როსტოვი. როსტოვ არენა

0:1 ველა (26პ), 0:2 ჩიჩარიტო (66), 1:2 მინი (90)

კორეა: ჰიუინ ვო, იუნგ ხვონი, იუნგი, ჰიუნ სო, სუნგ იუნგი (სუნგ ვო 64), მინ ვოო, სეონ მინი (ვო იუნგი 77), ჯაე სუნგი , ჰონგ მინი (ჰონგ ჩული 84), ჰე ჩანი, ჰე ჩანი

მექსიკა: ოჩოა, მორენო, ლაოუნი, სალსედო, ალვარესი, გუარდადო (მარკესი 68), ერერა, გალიარდო, ველა (დოს სანტოსი 77), ჩიჩარიტო, ლოსანო (კორონა 71)

მექსიკის ნაკრებმა მეორე გამარჯვება კი მოიპოვა, მაგრამ მერვედფინალში გასვლა ჯერ დაბეგებული არ აქვს, კორეელებს კი დამსახურებულად მოუგეს – მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას.

ანგარიში კარლოს ველამ პენალტით გახსნა, რასაც კორეელებმა ვერაფრით უპასუხეს და მეორე ტაიმში უკვე ჩიჩარიტომ დაამწუხრა აზიელები.

სოლიდური ფორის შემდეგ კარლოს ოსორიოს შეგირდები მოდუნდნენ და მატჩის ბოლო წუთზე გოლიც მიიღეს, რომელიც, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ირვინ ლოსანო**

კიდევ ერთი კარგი მატჩი ჩაატარა მექსიკის ნაკრების ფორვარდმა. მართალია, ლოსანომ ამჯერად ვერ გაიტანა, მაგრამ მისი წვლილი გუნდის გამარჯვებაში დიდია. მუდმივი წნეხის ქვეშ მეტოქე და საგოლე პასი ჩიჩარიტოზე.

გერმანია – შვედეთი 2:1

სოჭი. ფიშტი

0:1 ტოივონენი (32), 1:1 როისი (49), კროოსი (90)

გერმანია: ნოიერი, ბოატენგი, რუდიგერი, კიმიჰი, კროოსი, გიუნდოგანი (რუდი 30), ექტორი (ბრანდტი 86), დრაქსლერი (გომესი 46), მიულერი, როისი, ვერნერი

შვედეთი: ოლსენი, გრანკვისტი, ლუსტიგი, ლინდელოფი, აუგუსტინსონი, ლარსონი, ეკდალი, ფორსბერგი, კლაესონი (დურმაზი 74), ბერგი (ტელინი 90), ტოივონენი (გვიდეტი 77)

გაძევება: ბოატენგი (82)

ფანტასტიკური სანახაობა შედგა სოჭის სტადიონზე. ბოლო წამამდე გაურკვეველი იყო მატჩის ბედი. არადა, მოქმედი ჩემპიონები ახლოს იყვნენ ჯგუფში ჩარჩენის შესაძლო ვარიანტთან.

ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ილქაი გუნდოგანის ტრავმას თან დაერთო ოლა ტოივონენის გოლი, რომელმაც რთულ მდგომარეობაში ჩააგდო გერმანელები.

შვედების გოლის დროს, გერმანელთა ცენტრალური მცველები ძალიან გაერთნენ შეტევით და დაისაჯნენ კიდეც.

შესვენების შემდეგ მარკო როისმა მალევე გაათანაბრა. ამის შემდეგ ბუნდესნაკრები გამუდმებით უტევდა, მაგრამ გოლის გატანას ვერ ახერხებდა. სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა ჟერომ ბოატენგის გაძევების შემდეგ.

თუმცა, ბოლო წუთებზე გერმანული ხასიათი და სიმტკიცე გამოავლინეს. რამდენიმე შესანიშნავი მომენტის გამოუყენებლობის შემდეგ, ტონი კროოსმა უზადოდ შეასრულა დარტყმა და იოაჰიმ ლიოვის გუნდს პირველი გამარჯვება მოუტანა რუსეთში.

ახლა ჯგუფში სიტუაცია მაქსიმალურად დაიძაბა და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი 3 გუნდს აქვს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ტონი კროოსი**

ბევრი ბურთი მოიგერია შვედთა მეკარე ოლსონმა, მაგრამ კროოსის დარტყმას ვერაფერი მოუხერხა. სწორედ ეს გოლი აღმოჩნდა გერმანელთათვის გადამწყვეტი. მანამდე კროოსმა შეცდომაც დაუშვა, როდესაც ტოივონენმა გოლი გაიტანა, მაგრამ გერმანელთა ნახევარმცველი დარჩენილი დროის განმავლობაში ძალიან ცდილობდა ამ შეცდომის გამოსწორებას და შეასრულა კიდეც.

სატურნირო ცხრილი:

1.მექსიკა	2	2	0	0	3:1	6
2.გერმანია	2	1	0	1	2:2	3
3.შვედეთი	2	1	0	1	2:2	3
4.ს.კორეა	2	0	0	2	1:3	0

ინგლისი-პანამა 6:1

ნიჟნი ნოვგოროდი.

ნიჟნი ნოგოროდ სტადიუმი

1:0 სტოუსი (8), 2:0 კეინი (22პ), 3:0 ლინგარდი (36), 4:0 სტოუნსი (40), 5:0, 6:0 კეინი (45პ, 62), 6:1 ბალოი (78)

ინგლისი: პიკფორდი, უოლკერი, სტოუნსი, მაგუირი, ტრიპიერი (როუზი 70), ლოფტუს-ჩეკი, ჰენდერსონი, ლინგარდი (დელფი 63), იანგი, სტერლინგი, კეინი (ვარდი 63)

პანამა: პენედო, ტორესი, ესკობარი, მურილო, დევისი, გომესი (ბალოი 69), გოდოი (ავილა 62), კუპერი, ბარსენასი (აროიო 69), როდრიგესი, პერესი

ბევრს ვერაფერს ვიტყვით მატჩზე, რომელიც ასეთი ანგარიშით დამთავრდა. ინგლისელებს ყველაფერი გამოსდიოდათ, პანამელებს – უფრო ჭიდაობა და 2 პენალტიც ამის დამსახურება იყო. პენალტების გარდა, ინგლისელებმა სახასიათო გოლებიც გაიტანეს: კუთხურიდან, სტანდარტულის ორიგინალური გათამაშებით, საჯარიმოს გარედან ლამაზი და ზუსტი დარტყმით, ერთიც რიკოშეტით გავიდა...

პანამელი ფელიპე ბალოის გვიანი გოლი კი არაფრისმომცემი იყო.

ინგლისისა და ბელგიის ეროვნული გუნდები მერვედფინალში გავიდნენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ჯონ სტაუნსი**

ინგლისელთა ცენტრალურმა მცველმა დუბლი შეასრულა, რაც, დაგვეთანხმებით, შესანიშნავი შედეგია. მანვე დაუდო სათავე პანამელთა განადგურებას. ამასთან, ჩინებულად ირჯებოდა საკუთარი მოვალეობის შესრულების დროსაც.

სატურნირო ცხრილი:

1.ინგლისი	2	2	0	0	8:2	6
2.ბელგია	2	2	0	0	8:2	6
3.ტუნისი	2	0	0	2	3:7	0
4.პანამა	2	0	0	2	1:9	0

მოამზადა მისეილ ყორყოლიანმა

საბურთალომ ქუთაისში პირველად მოიგო

ტორპედო-საბურთალო 1:2

ქუთაისი. რამაზ შენგელია

0:1 ვაგნერი (33), 0:2 ლაკვეხელიანი (45), 1:2 გიგაური (83)

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე (თორ.გრიგალაშვილი 10), ჭიჭინაძე, მამასახლისი, ქიმაძე, გიგაური, კუხიანიძე, კუტალია, დოლიძე, წიქარიძე (ტუღუში 46), ბოხაშვილი (სარდალიშვილი 70)

საბურთალო: კუპატაძე, ტერა, თედ.გრიგალაშვილი, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი, რეხვიაშვილი, ვაგნერი, გორგიაშვილი (აღთუნაშვილი 57), დიასამიძე (ვოლკოვი 72), გოშთელიანი (გვარაძე 59), კოხრეიძე

ჩემპიონატის ლიდერი, დედაქალაქური საბურთალო ქუთაისს ესტუმრა და დაძაბულ ბრძოლაში ტორპედოს 2:1 მოუგო. ეს საბურთალოელების ისტორიაში იმერეთში პირველი მოგება აღმოჩნდა. მეტიც, აქამდე სამი ქუღა კი არა, რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე გოლიც არ ჰქონდათ გატანილი. ორი წაგება და 1 ფრე – ასეთი იყო თბილისელების შედეგი.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, თავდაპირველად მასპინძლებს მართებდათ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ევგენი ბოხაშვილმა ხელსაყრელი ეპიზოდის გამოყენება ვერ შეძლო. ამის შემდეგ, კი ნელ-ნელა უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ და ეს ყველაფერი შედეგშიც ასახეს.

33-ე წუთზე შეტევა გიორგი რეხვიაშვილმა წამოიწყო, რის შემდეგაც მოჭრილი პასით ლუკა ლაკვეხელიანს გააყოლა ბურთი. ამ უკანასკნელმა სისწრაფეში დაჯაბნა მოწინააღმდეგე, საჯარიმოშიც ჩააწოდა, გეგა დიასამიძის დარტყმის შემდეგ ბურთი მეკარე როინ კვასხვაძემ მოიგერია, მაგრამ ყველას ვაგნერ გონსალვესმა დაასწრო და ანგარიში გახსნა. ტაიმის ბოლო წუთზე კი უკვე ლაკვეხელიანის ჯერი დადგა: ლუკამ მარცხენა ფლანგიდან მოულოდნელად გაისროლა და ორ ბურთიანი სხვაობით დააწინაურა თავისიანები.

მეორე ნახევარში საბურთალომ კონტრშეტევაზე ააგო თამაში და რამდენჯერმე მიზანთან ახლოს იყო. ჯერ კოხრეიძეს შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარემ არ გაატანინა, შემდეგ კი დიასამიძეს მიეცა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, თუმცა ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა კარის ჩარჩოს. მატჩის დასრულებამდე 12 წუთით ადრე დავით ვოლკოვი გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გამარჯვებული მასპინძელთა კიპერი აღმოჩნდა. იმერლებმა ბოლოს ერთი ბურთი გაიტანეს – თავი გიგაურმა გამოიჩინა, თუმცა ტორპედოელებმა მეტის გაკეთება ვეღარ მოახერხეს და საბოლოოდ შეხვედრა თბილისელთა გამარჯვებით დასრულდა.

დინამო-სიონი 2:1

თბილისი. დინამო არენა

1:0 ხარაბაძე (39), 1:1 მიქაბერიძე (54), 2:1 ლოჩოშვილი (90)

დინამო: ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, ლოჩოშვილი, კობოური, ნ.ნინუა (კუცია 76), ივანისენია, ივანიშვილი (ერგემლიძე 79), ო.კიტეიშვილი, ხარაბაძე, ზივზივაძე (ბაბუნაძე 70)

სიონი: ზარქუა, გურეშიძე, ნოზაძე, მინდორაშვილი, გიორბელიძე, ქიქავა, ხმალაძე, სიხარულია (კოშკაძე 88), ბერიაშვილი (უგულავა 80), გაფრინდაშვილი, მიქაბერიძე (მანაგაძე 82)

ძლიერმა წვიმამ, რომელიც მატჩის სტარტამდე დაიწყო, თავისი დაღი დაასვა მთლიანად პირველ ტაიმს. საწყისი 20 წუთი დინამოს სათამაშო უპირატესობით მიილია, მაგრამ რეალურ ხიფათამდე საქმე არ მისულა. ტაიმის ბოლოსკენ დინამო, რომელსაც სრული სათამაშო უპირატესობა ჰქონდა კიდევ უფრო გააქტიურდა. 39-ე წუთზე კი ნიკა ნინუას ჩამოწოდებულ კუთხურს ლევან ხარაბაძის ზუსტი თამაში მოჰყვა, რომელმაც თავით ზუსტად დაარტყა და გახსნა ანგარიში. პირველი ტაიმი ამ ანგარიშით დასრულდა.

მეორე ტაიმის დებიუტი დინამოელთა სახიფათო შეტევით დაიწყო. ბუდუ ზივზივაძემ კარგად ითამაშა მეტოქის საჯარიმოსთან, ზუსტი გადაცემით ოთარ კიტეიშვილი მოძებნა, რომელმაც სახიფათოდ ჩააწოდა. ბურთს დმიტრო ივანისენია ვერ შესწვდა, ნიკა ნინუას თავური კი მეკარემ უკუაგდო. საპასუხო შეტევაში კი სიონმა აღარ გაუშვა ხელიდან თავისი შანსი, ზუსტი დარტყმა გიორგი მიქაბერიძემ შეასრულა – 1:1.

62-ე წუთზე თბილისელებმა კიდევ ერთხელ გაუშვეს ხელიდან კარის აღების რეალური შესაძლებლობა. კიტეიშვილის გადაცემას ერთი შეხებით გიორგი ივანიშვილი ასრულებდა, მაგრამ ბურთი კი ზევიდან გადასცდა კარს. კიდევ ორიოდე წუთში უკვე ზივზივაძემ ითამაშა დასწრებაზე, მაგრამ მისი თავურიც მცირედით ასცდა თორნიკე ზარქუას კარს. მატჩის ბოლოსკენ კიტეიშვილის საჯარიმო დარტყმა ბოლო წამს ზარქუამ კუთხურზე მოიგერია. ამ მომენტის შემდეგ კი დმიტრო ივანისენიას მართებდა გოლის გატანა და ახლო მანძილიდან ააცილა ბურთი.

საბოლოოდ დინამოს მასირებულ შეტევებს შედეგი მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეორე წუთზე მოჰყვა: კიტეიშვილის ჩაწოდებული ბურთი ლუკა ლოჩოშვილმა კარში გადაგზავნა და დინამომ 2:1 იმარჯვა.

რუსთავი-დილა 2:2

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 ნონიკაშვილი (4), 1:1, 2:1 ცინცაძე (45, 58), 2:2 ქავთარაძე (83)

რუსთავი: რევიშვილი, გეგეჭკორი, პაპავა, კობახიძე, ცინცაძე, კვირკვია (ქავთარაძე 64), ჩოგაძე (ქარდავა 45), ფონიავა, ციცქიშვილი, მარცვალაძე (მაქაცარია 76), თ.კირკიტაძე

დილა: ბეგაშვილი, მაჩაიძე, ჩადუნელი, რაზმაძე (ფანცულაია 61), ქავთარაძე, ნონიკაშვილი (ნონდი 36), კოვტალიუკი, კორიფაძე, ლემპტი (ფორტესი 73), კვახაძე, რიბეირო

გაძევება: რევიშვილი (45)

მშვენიერი სანახაობა შედგა მიხეილ მესხზე და ზუსტად იგივე ანგარიშით დასრულდა, როგორც პირველ წრეში, გორში. ფავორიტად დილა ითვლებოდა და დასაწყისშივე დაწინაურდა. მცველების შეცდომის შემდეგ ლევან ნონიკაშვილმა საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა და ნუკრი რევიშვილსაც უკეთ გარჯა მართებდა.

თითქოს ამ გოლის შემდეგ დილას კიდევ უფრო უნდა გაეტეხა რუსთავი, მაგრამ ქვემოქართლური გუნდი უკეთ ათამაშდა გორელთა კართან რამდენიმე ხიფათი შექმნა. გორელთა მეკარე გიორგი ბეგაშვილმა რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია.

ტაიმის ბოლოს კი მთავარი მოვლენები დატრიალდა: დილას კარის მიმართულებით საჯარიმო დაინიშნა, სანამ რუსთაველები დასარტყმელად ემზადებოდნენ, მთავარი მსაჯი თავისთან იხმო მეოთხე მსაჯმა და კონსულტაციების შემდეგ მოედნიდან ნუკრი რევიშვილი იქნა გაძევებული, სავარაუდოდ, გინების გამო.

კარში რევიშვილის შემცვლელმა სოსო ქარდავამ დაიკავა ადგილი, ხოლო მოედნიდან ლუკა რაზმაძე გავიდა.

სწორედ კაცნაკლულმა რუსთავმა გაიტანა წამებში: ჯარიმიდან ზაზა ციცქიშვილმა ჩააწოდა და მათე ცინცაძემ თავური დარტყმით შესანიშნავი გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ცინცაძემ უკვე თავად შეასრულა სტანდარტი და არანაკლებ ლამაზი გოლით დააწინაურა რუსთაველები.

გორელთა მწვრთნელმა გიორგი დარასელიამ თავდასხმა გააძლიერა და დილამ – ზეწოლა. რუსთაველთა კართან მომენტები იქმნებოდა, მაგრამ ქარდავა ჩინებულად ირჯებოდა, თუმცა, 83-ე წუთზე ნოდარ ქავთარაძის დარტყმის წინაშე უძლური აღმოჩნდა.

დილას მოგებაც შეეძლო, მაგრამ რიბეიროს ქარდავამ არ გაატანინა. საბოლოოდ, 2:2.

სამტრედია-ჩიხურა 0:1

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე

0:1 გაბედავა (52პ)

სამტრედია: სტურუა, ჩაჩუა, ქარქუზაშვილი (ა.ნინუა 81), კერძევაძე, ბაჩიაშვილი, ოლხოვი, მესიაჩენკო (ვეილი 58), კირკიტაძე (გიორგებლიძე 69), გი, ახალაძე, ხაბეიშვილი

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, მირცხულავა, მეგრელიშვილი, ჩიკვაიძე, კაკუბავა (ჩიხლაძე 76), დობროვოლსკი, კახაბრიშვილი (ლექვთაძე 46), ბუღრიძე (ცხახაძე 65), გაბედავა

მასპინძლებმა საჩხერელებს ლანჩხუთში უმასპინძლეს, სადაც საშინაო მატჩებს ატარებენ, მაგრამ ჯერ ერთხელაც ვერ მოახერხეს გამარჯვება. ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონი, არცთუ წარმატებული გამოდგა ბადრი კვარაცხელიას შეგირდებისთვის.

გამონაკლისი არც ეს შეხვედრა იყო. საჩხერელებმა სამტრედია მინიმალური სხვაობით 1:0 დაამარცხეს. 52-ე წუთზე საჯარიმოში შეჭრილი ირაკლი ბუღრიძე თამაშის წესებით დარღვევით გივი ქარქუზაშვილმა შეაჩერა. თერმეტმეტრიანის ნიშნულიდან დარტყმა ზუსტად შეასრულა გიორგი გაბედავა, რომელიც მატჩის ერთადერთი გოლის ავტორი გახდა.

ამ გამარჯვების შემდეგ სამტრედია სატურნირო ცხრილში კიდევ უფრო გამოკვეთილი აუტსაიდერი გახდა.

ლოკომოტივი-კოლხეთი 2:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 კობახიძე (17), 1:1 მიხალიოვი (32), 2:1 კობახიძე (37)

ლოკომოტივი: შეროზია, ძებნიაური, ქურდაძე, ნ.ჭანტურია, ჯიქია (ყენია 90), გავაშელიშვილი, კიკაბიძე (არდაზიშვილი 66), გაბაძე, უბილავა, სამურკასოვი (ცნობილაძე 72), ო.კობახიძე

კოლხეთი: პოლტავცევი, მახარაძე (ჭეიშვილი 68), გოგონაია, არზიანი (კვერნაძე 80), პანამარიოვი, დანილოვი, მიხალიოვი, ჯიმშელეიშვილი, კაბორე, კვასოვი, გოგბერაშვილი (კაკულია 73)

მატჩის გმირი ოთარ კობახიძე გახდა, რომელმაც დუბლი პირველივე ტაიმში შეასრულა.

კობახიძემ ჯერ ანგარიში გახსნა: ძებნიაური-კიკაბიძე-კობახიძის ლამაზი კომბინაცია გოლით დასრულდა.

32-ე წუთზე ილია მიხალიოვმა, შორეული

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მსახიობ სინტია ნიქსონის ქალიშვილი ბიჭი გახდა

მსახიობმა სინტია ნიქსონმა, რომელიც სერიალით სექსი დიდ ქალაქში“ გახდა ცნობილი, თავის 21 წლის შვილ სემიუელს, რომელიც გოგონად დაიბადა და სამანტა ერქვა, კოლეჯის დამთავრება მიულოცა. ამის ამსახველი ფოტოსურათი მან ინსტაგრამში გამოაქვეყნა.

– ამაყი ვარ ჩემი შვილით, სემიუელ ჯოზეფ მოზესით, რომელმაც ამ თვეში კოლეჯი დაამთავრა. მივესალმები მას და ყველას, ვინც ამ მნიშვნელოვან დღეს აღნიშნავს, – დაწერა სინტია ნიქსონმა.

სამანტა მოზესი 1996 წლის ნოემბერში დაიბადა. მამამისი სინტიას ყოფილი შეყვარებული დენი მოზესია. ყოფილ წყვილს ასევე ჰყავს შვილი ჩარლზი, რომელიც 2002 წლის დეკემბერშია დაბადებული. ნიქსონი და მოზესი ერთმანეთს 2003 წელს დაშორდნენ.

ჩინელმა ქალმა ძვირადღირებული ფერარი ხუთ წუთში დაამტვრია

ჩინეთის ქალაქ ვენლინგში ქალმა სპორტული ავტომობილი ფერარი 458 იქირავა და საჭესთან დაჯდომიდან რამდენიმე წუთში საგზაო წინაღობას დაეჯახა, რა დროსაც ორი მანქანის შეჯახების პროვოცირებაც მოახდინა.

სპორტკარის საჭესთან დაჯდომისას ქალმა აღნიშნა, რომ ფერარის საჭესთან პირველად ჯდებოდა.

– ეს მართლაც ყველაზე საოცარი შეგრძნებაა, – დაამატა ქალმა.

რამდენიმე წუთში ფერარის მძღოლმა მანქანის მართვა დაკარგა, ფერარი მოცურდა, შემდეგ კი წინაღობას შეასკდა, გაანგრია და საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ ბმვ-ს მარკის ავტომობილს შეეჯახა, რომელიც, თავის მხრივ, ნისანს დაეჯახა. ამ უკანასკნელმა წინაღობის სხვა ადგილი გაანგრია და გზის შემხვედრ ზოლზე აღმოჩნდა.

500 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულების სპორტკარს ძალიან აქვს დაზიანებული წინა მხარე, გარდა ამისა, მას მოსძვრა წინა მარცხენა ბორბალი. უსაფრთხოების ბალიშების ამოქმედების წყალობით ფერარის საჭესთან მჯდომი ქალი არ დაშავებულა. ასევე საფრთხე არ ემუქრებათ ავარიის სხვა მონაწილეებსაც.

მოტყუებულმა გოგონამ შეყვარებულს ქორწილში სკანდალი მოუწყო

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოტყუებული გოგონა თავისი მეგობარი მამაკაცის ქორწილში საპატარძლო კაბაში გამოწყობილი მივიდა და საქორწინო ცერემონია ჩაუშალა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა თვითმხილველმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ვიდეორგოლი ქალაქ ბენონიში იქნა გადაღებული. საქორწინო კაბასა და ფატაში გამოწყობილი გოგონა ქორწილში მივიდა და საკურთხეველთან სასიძოსთან და მის რჩეულთან ერთად დადგა. მამაკაცი მას ხმამაღლა აგინებდა და მის გაგდებას ცდილობდა იმ დროს, როდესაც ნამდვილი პატარძალი მშვიდად ელოდებოდა ცერემონიის დაწყებას. კადრს მიღმა ისმის სტუმრების ყვირილის ხმები: ზოგიერთი მათგანი გაკვირვებას გამოხატავს, ხოლო ნაწილი მხარდაჭერას გამოთქვამს სკანდალის მომწყობ ქალბატონის მიმართ.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ვიდეორგოლის კომენტატორების დიდი უმრავლესობა აღფრთოვანებას გამოთქვამს ქალის გადაწყვეტილების გამო, რომელიც მოტყუებული აღმოჩნდა.

ტაილანდელებმა პითონს ძაღლი გამოსტაცეს

ტაილანდში მამაკაცების ჯგუფმა დიდი გაჭირვებით მოახერხა ძაღლის პითონისგან გამოგლეჯა, რომელიც მის გადასანსვლას აპირებდა.

თავდაპირველად ტაილანდელები ძაღლზე რგოლებად შემოხვეულ პითონს ჯოხებს ურტყამდნენ და ცდილობდნენ, ეს რგოლები შეესუსტებინათ. რაღაც მომენტში ძაღლმა წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა, მაგრამ ადამიანებმა მისი განთავისუფლების მცდელობა არ შეწყვიტეს. ამავე დროს, მეორე ძაღლი ყეფით ცდილობდა ქვეწარმავლის შეშინებას.

როდესაც ადამიანები მიხვდნენ, რომ მათ არჩეულ ტაქტიკას შედეგი არ მოჰქონდა, გადაწყვიტეს, გველის რგოლები შიშველი ხელებით გაეხსნათ. ერთ-ერთმა მათგანმა გველს კუდში ჩაავლო ხელი და დაქაჩა. საბოლოოდ პატარა ნაჯახის გამოყენებით მათ ძაღლის განთავისუფლება მოახერხეს. შინაური ცხოველი მსუბუქი დაზიანებებით გადარჩა.

ფეკალიებით დატვირთულმა სატვირთომ ტვირთი გზაზე მიმოფანტა

ამერიკის ინდიანის შტატის პოლიციამ გააჩერა სატვირთო მანქანა, რომელიც გადამუშავებული ადამიანის ფეკალიებით იყო სავსე. ამ ინფორმაციას შტატის პოლიციის განყოფილება ტვიტერში საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ცნობით, თვითმცლელი მანქანა თითქმის ერთი მილის (1,5 კილომეტრი) მანძილზე ტრასაზე ბოლომდე დაუხურავი კარით გადაადგილდებოდა. ამის გამო გზაზე ფეკალიები იყრებოდა, რაც სხვა მანქანებს მოძრაობას ურთულებდა.

პოლიციელებმა დააზუსტეს, რომ ტრასის ოპერატიულად გაწმენდა მოახერხეს და ირწმუნებიან, რომ ისინი ეკოლოგიურად სრულიად უსაფრთხო იყო.

მსოფლიოში ცნობილი „მოლაპარაკე“ გორილა მოკვდა

აშშ-ში 46 წლის ასაკში მოკვდა ცნობილი გორილა, სახელად კოკო, რომელიც საკუთარ აზრსა და სურვილებს ჟესტების ენით გადმოსცემდა. კვლევით ცენტრში აღნიშნეს, რომ ის ძილში დაიღუპა.

– მან ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის, რომ ჩვენ გორილების ემოციური და ინტელექტუალური შესაძლებლობების შევიტყვეთ, მთლიანად მისი დამსახურებაა. მან სამყარო შეცვალა, – ნათქვამია არაკომერციული ორგანიზაცია The Gorilla Foundation-ს მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

კოკო 1971 წლის 4 ივლისს დაიბადა და დასავლეთ დაბლობის გორილების ქვესახეობას განეკუთვნებოდა. მის სწავლება სტენფორდის უნივერსიტეტის სპეციალისტების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა. მან ყრუმუნჯების ენის ათასამდე ჟესტი ისწავლა და ორი ათასამდე ინგლისური სიტყვა ესმოდა. გორილას ინტელექტის კოეფიციენტი მეცნიერებმა 95 ქულად შეაფასეს, რაც საშუალო სტატისტიკური ადამიანის დონეს შეესაბამება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



1. ჭრილობა; 2. საფოსტო ნიშანი; 3. შუამდინარეთი; 4. მზის ეგვიპტური ღვთაება; 5. წყვილთა სალონური ცეკვა; 6. ანუკ ...; 7. იგავ-...; 8. საჭმელი სოკო; 9. წრის ნაწილი; 10. უკრაინის პარლამენტი; 11. სპექტაკლის პირველი წარმოდგენა; 12. ესპერანტოს ვარიანტი; 13. პატიმართა შეწყალება; 14. ნოტიო ფქვილი; 15. სალბუნი; 16. დაბალი რანგის დიპლომატი; 17. საბრძოლო მანქანა; 18. ერთგვარი ტანვარჯიში; 19. ფრანგი კომპოზიტორი (1842-1912 წწ.); 20. ბავშვის მეტყველების შეზღუდვა; 21. ბგერის გრაფიკული ნიშანი; 22. ... რობერტსი; 23. პარტია ჩოგბურთში; 24. მჭევრმეტყველების თეორია; 25. ორლესული მახვილი; 26. ქალაქი იტალიაში; 27. ხმადაბლა მუსიკაში; 28. სახოტბო ლექსი; 29. პორტუგალიის დედაქალაქი; 30. ატლანტიკური ქაშაყის ქვესახეობა; 31. ... შარიფი; 32. ლითონის სარქველიანი ჭურჭელი სითხისთვის.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კახიაშვილი; 2. სქოლიო; 3. კურორტი; 4. ჩორდი; 5. ხიროსიმა; 6. ნეონი; 7. მენზულა; 9. ჯორჯია; 13. ბორტი; 17. რიყე; 18. ბრა.

თარაზულად: 1. კომპასი; 3. კუბაჩი; 8. ჰიმენე; 10. პლატონი; 11. ქაირო; 12. ფიურსტი; 14. შვეიკი; 15. კეიტონი; 16. მარკა; 19. კატარი; 20. დივიზია; 21. ანდები.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რეფლექსი; 2. პიეტა; 3. კვარიათი; 4. ბაგეტი; 7. სტეკი; 9. მძივი; 12. ტროგლოდიტი; 14. გიშერი; 15. შუშპარი; 17. ლონდონი; 20. აბული.

თარაზულად: 5. ჩეფერინი; 6. ტავრიდა; 8. რეტორტა; 10. მუკუზანი; 11. ქსენძი; 13. კაიზერი; 16. რიტორიკა; 18. კოალა; 19. აშარი; 21. იბერია; 22. არსენალი; 23. მაგნატი.

საბურთალომ ქუთაისში პირველად მოიგო

დასაწყისი მე-9 გვერდზე

დარტყმით ლუკა შეროზიას კარი აიღო და ანგარიში გაათანაბრა. ლოკო 5 წუთში კვლავ დაწინაურდა. დავით უბილავას საგოლე პასის შემდეგ, კობახიძე დუბლის ავტორი გახდა და მატჩის საბოლოო შედეგი დაფიქსირა.

მატჩის მიწურულს ლოკოს შემადგენლობაში 10 წლის შემდეგ კვლავ ითამაშა ლევან ყენიამ. 27 წლის ნახევარმცველმა მძიმე ტრავმა მოიშუშა და მოედანს თითქმის ორწლიანი პაუზის შემდეგ, მოედანს დაუბრუნდა.

საატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	16	12	1	3	31-13	37
2.დინამო	16	10	2	4	27-14	32
3.დილა	16	8	7	1	33-17	31
4.ჩიხურა	16	8	4	4	24-15	28
5.ტორპედო	16	6	3	7	21-17	21
6.ლოკომოტივი	16	5	3	8	17-26	18
7.რუსთავი	16	4	5	7	15-21	17
8.კოლხეთი	16	3	5	8	16-34	14
9.სიონი	16	3	4	9	14-27	13
10.სამტრედია	16	1	6	9	9-23	9

მოამზადა მისეულ ყორეულიანმა

სპორტი

საქართველომ ჩეხეთთან წააგო

ჩეხეთი-საქართველო 71:57

(18:11, 27:19, 12:15, 14:12)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მოსამზადებლად პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. ილიას ზუროსის გუნდი პრაღაში ჩეხეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა და 57:71 დამარცხდა.

მატჩი მოსამზადებელი ხასიათის იყო და ილიას ზუროსმა დებიუტანტების გამოსაცდელად გამოიყენა. ყველაზე მეტი ჩვენი ნაკრების ამერიკელმა ახალწვეულმა თად მაკფადენმა და 19 წლის სანდრო მამუკელაშვილმა ითამაშეს. სათამაშო დრო მიეცა ლუკა ბულაშვილსაც, ხოლო 18 წლის გოგა ბითაძემ მოედანზე 23 წუთი დაჰყო და ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გახლდათ – 14 ქულა, 8 მოხსნა.

საქართველოს ნაკრებს ძირითადად პერიმეტრის გადაკეტვა უჭირდა, თუმცა სწრაფი ჩეხები სამწამიან ზონაშიც ხშირად შემოდიოდნენ და ქართველების კალათს შედეგიანად უტევდნენ. ჩვენს მსროლელებს არ გაუმართლათ – დუდა სანაძემ და მიხეილ ბერიშვილმა ჯამში 8 სამიანი ააცილეს, საქართველოს ანგარიშზე არსებული 3 შორი სროლა კი მაკფადენმა მიითვალა, რომელიც 18 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა.

თავიდანვე რომ ჩამორჩა, საქართველოს ნაკრები მთელი შეხვედრის განმავლობაში აგებდა. ბოლო წუთებზე ზუროსის გუნდმა ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირა, თუმცა მატჩის მოგება შეუძლებელი გახდა.

მეორედ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ჩეხეთთან არასტანდარტული, სავარჯიშო ხასიათის შეხვედრა გამართა. მწვრთნელების მოლაპარაკებით, პირველი ტაიმისა და მესამე პერიოდის შემდეგ ანგარიში განულდა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ილიას ზუროსმა ბოლო პერიოდში ახალგაზრდები და გუნდის ახალწვეულები ათამაშა.

პერიოდები შემდეგი ანგარიშებით დასრულდა: 18:20, 16:19, 15:27, 30:8.

მოამზადა მისეულ ყორეულიანმა

ასტროპროგნოზი 25 ივნისისთვის

ვერძი –შესაძლოა ახალმა ამბავმა თქვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალოს. იცვლება თქვენი დამოკიდებულებაც ოჯახის წევრებისადმი. ** კურო** – რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. ცდუნებას არ აჰყვეთ. **ტყუპები** – ენერგიულად ხართ, განსაკუთრებით – დღის მეორე ნახევარში. საყიდლებზე წასასვლელად ეს დღე შეუფერებელია. **კირჩხიბი** – პრობლემები გექმნებათ ფინანსური კუთხით. შეინარჩუნეთ შინაგანი წონასწორობა. **ლომი** – მოვლენებს ახლებურად შეხედეთ. ახლობლებთან ურთიერთობა იცვლება. **ქალწული** – ნებისმიერ საქმეს იოლად აკეთებთ. კეთილისმყოფელი დღეა შემოქმედებითი თვალსაზრისით. **სასწორი** – დღეს საღი მსჯელობა მოგეთხოვებათ. ემოციები მაქსიმალურად აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – პროვოკაციული დღეა. მოტყუების ალბათობა იზრდება. ახალი საქმის დაწყება არ ღირს. **მშვილდოსანი** – ახალი ნაცნობობა სასიამოვნოდ გაგაოცებთ. საყიდლებზე წასვლას ვარსკვლავები დღეს არ გირჩევენ. **თხის რქა** – თქვენი უპირატესობის დამტკიცებას ნუ შეეცდებით. მშვიდად იმუშავეთ. ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა გეძაბებათ. **მერწყული** – შემოქმედებითი პოტენციალი მზარდია. ალკოჰოლის მიღება რეკომენდებული არ არის. **თევზები** – გადაღლილი ხართ. ენერგიას აღგიდგენთ ბუნებასთან კონტაქტი, შინაური ცხოველების მოვლა.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

მწერალი ზურა აბაშიძე ძალადობის მსხვერპლი გახდა

მწერალი ზურა აბაშიძე ძალადობის მსხვერპლი გახდა. ინფორმაცია თბილისის შუაგულში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მან სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა, რაზეც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო:

– 7 საათისკენ გამოვედი სამსახურიდან, გეპეის მიწისქვეშა გადასასვლელი გადავჭერი და მეორე მხარეს ვიღაც შავ მაიკაში და ჯინსებში გამოწყობილი ტიპი ამეკიდა, ჯერ რას ჰგავხარო, ტრანსი ხარო, თავიდან ვითომ კი მოვიგერიე, ავუჩქარე ნაბიჯი, მარა ზებრაზე გადასვლისას, მანქანამ რომ სვლა შეანელა, წინ გამისწრო და ხმამაღლა დაუყვირა მძღოლს, ამ პიდარასტს რატო უთმობთ გზასო.

არ მომეშვა, მობრუნდებოდა, მაგინებდა, ბოლოს ტელეფონი ამოვიღე, ვიფიქრე, შევაშინებ, ხმას ვიწერ შენსას და კიდევ თუ გააგრძელებს გინებას, პოლიციაში დავრეკავ-მეთქი, აქეთ წამოდიო, შენზე სროკს არ ავიკიდებო და მექაჩებოდა გვერდით, ახლა მართლა ვრეკავ-თქო, ავკრიფე ას თორმეტის ნომერი და მომვარდა, სახეში დამარტყა მუშტი ორჯერ, მეც რაც შემეძლო ვიფართხალე, ისეთი აღელვებული ვიყავი, ერთი-ორჯერ გავიქნიე ხელი, ჩანთა და ტელეფონი დამაგდებინა და, სანამ მაკდონალდსიდან არ გამოვარდა ხალხი, არ შემეშვა, მერე გინებ-გინებით წავიდა.

მივედი 1-2 საათში ჩემს ორ მეგობართან ერთად ტელევიზიის გვერდით პოლიციის შენობაში, განცხადების დაწერა მინდა-მეთქი და იქ დაიწყო თავგადასავალი, პირველივე ჯერზე გამომძიებელმა, გაფრთხილება დავუწეროთო, განცხადება არ გინდაო, განცხადება დიდხანს იწელება, ვერ დატოვებ ქვეყანას და სულ აქ მოგიწევს სიარული და იცოდეო. გაფრთხილება რას მოიაზრებდა ოღონდ, ვერ ამიხსნა ნორმალურად.

მერე წამიყვანეს დანაშაულის ადგილზე. აღმოჩნდა, რომ კამერები არ იყო დამონტაჟებული მაკდონალდსთან, 112-ის კამერები არ ფუნქციონირებსო, ასე მითხრეს. მოვბრუნდით უკან და, როგორც კი შევდგი ფეხი პოლიციის შენობაში, ისევ იმავე კაცმა ამიხსნა, რომ რეალურად შეიძლება მეც ბრალეული გამოვსულიყავი, რადგან ხელი შევუბრუნე და, თუ მოწმე არ მყავდა, ვერაფრით დავამტკიცებდი. ერთი ოცჯერ რომ გამიმეორა ჩემი სავარაუდო ბრალეულობის შესახებ, მერე ისიც მოაყოლა, რომ იქნებ კიდევ დავფიქრებულიყავი, ღირდა თუ არა განცხადების დაწერა. საბოლოოდ მაინც დავწერე, მერე დავჯექი დაკითხვაზე, რაღაცებს აკაკუნებდა სხვა თანამშრომელი კომპიუტერზე და აპირებდა დაეწერა, რომ თითქოს ჩემთვის უცნობია, რა მოტივით დამესხა თავს უცხო პიროვნება, ერთი ოცჯერ

გავუმეორე, რომ უცნობი არ არის, ჰომოფობიის ნიადაგი ჰქვია მაგას, მეძახდა კიდეც პიდარასტს-თქო, სანამ არ ვიჩხუბე და მივუვარდი მეგობრებს დასახმარებლად, რომლებიც იქვე მელოდებოდნენ, ვერ გავაგებინე, თან აქეთ მომიბრუნდა, რა იყო, ამხელა კაცი ხარ, შენი აზრი არ გაგაჩნია, რას დარბიხარ მეგობრებთანო.

ცოტა მოგვიანებით ერთ-ერთმა თანამშრომელმა ფოტოს გადაღებაში შენიშნა ჩემი მეგობარი, ორივე გაყარა გაფრთხილების გარეშე და ყველაფერი დაგვირგვინდა დამკითხველის კითხვით, ვერ უთხარი თავდამსხმელს, ტრანსი არ ვარ, ნორმალური ვარ-მეთქი.

არც დავწერდი ამ პოსტს, უბრალოდ, ვერ ვხვდები, სად არის გამოსავალი, როგორ უნდა დავიცვათ თავი, ვინ უნდა დაგვიცვას და მთელი დღეა, რაღაც უსუსურობის შეგრძნება მაქვს, რომ არავის აინტერესებს ადამიანი ჩვენს ქვეყანაში და ყველა იმას ფიქრობს, როგორ მოგიშოროს და აიცილოს ზედმეტი თავის ტკივილი.

ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, ძალიან ვეცადე, რომ ჩემს სუბიექტურ აზრებს მოკლებული ყოფილიყო და მარტო ფაქტები გადმომეცა. საბოლოო ჯამში, მივიღე ის, რომ მალე შეიძლება ბრალეული აღმოვჩნდე იმის გამო, რომ თავს ვიცავდი. ძალადობასა და სახეში მუშტების რტყმას არ დავუსტრესივარ ისე ძალიან, როგორც მახინჯმა პოლიციურმა სისტემამ, სადაც ვერ ხვდებიან, როგორ უნდა ელაპარაკონ დაზარალებულ ადამიანს, სადაც საქმის აღძვრა ეზარებათ და სადაც გარტყმაში არ არიან, რას ნიშნავს, როცა ვიღაცა ქუჩაში გირტყამს იმის გამო, რომ ჭრელი პერანგი გაცვია.

გიორგი სუხიტაშვილი მაყურებელმა გაანაწყენა

მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ მონაწილეობს, სადაც კობას როლს არსულებს. მსახიობად ქცეული მომღერალი მაყურებლებმა გაანაწყენეს.

გიორგი სუხიტაშვილი:

– ძალიან მწყდება გული, აი, ეს „ბრძენი ერი“ რომ მოგყვება უკან, ან შეგხვდება და შენ გასაგონად რომ ამბობენ, „კობას რა უნდა ვაკეში, ეს ხო გააგდეს“, „ე ჯინიუზ“, „ოე“ და ა.შ.

აი, თქვენ ხართ ყველაზე, ყველაზე საცოდავები, რომ ვერ გაგირჩევიათ პერსონაჟი და ამ პერსონაჟის შემსრულებელი. რომ მაიგივებთ ადამიანთან, რომელთანაც არანაირი საერთო არ მაქვს და, პირიქით, ჩემგან რადიკალურად განსხვავდება. რამდენს გაგცეთ პასუხი ან როგორ?

კიდევ რადიოში რომ რეკავთ და გიორგი სუხიტაშვილის სიმღერა გვინდაო, სერიალში რომ მღერისო, ეგ არის სერიალისთვის დაწერილი და ჩემი ფანტაზიისა და გემოვნების პიკი არაა და არც ჩემს რომელიმე ალბომში იქნება ეგ.

დიდხანს ვფიქრობდი, დამეწერა თუ არა. არ მინდა, ვინმემ არასწორად გამიგოთ. უბრალოდ, ძალიან ძნელია ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეს კომენტარები.

მართლა რა გაუნათლებლობა და უზრდელობა გვჭირს, ამის დედა ვატირე!



ლექს სენმა და ქეთი გომართელმა დუეტი ჩაწერეს

ლექს სენის შემოქმედებაში პაუზა დასრულებულია. რეპერი კვლავ გამოჩნდა ეკრანებზე და მომღერალ ქეთი გომართელთან ერთად დუეტში იმღერა.

ქეთიმ და ლექსომ დუეტში ლექს სენის ძველი სიმღერა „თუმცა ბევრი რამე მქონდა“ შეასრულეს, მაგრამ – სრულიად ახლებური ინტერპრეტაციით.

დუეტის პრემიერა გადაცემაში „დილა უქმეებზე“ შედგა, სადაც ქეთიმ და ლექს სენმა მსმენელს პირველი ერთობლივი დუეტი შესთავაზეს.

თათია ახალაია „დოლჩე და გაბანას“ ახალ კოლექციაშია

ელიტ მოდელ ლუქის გამარჯვებული ქართველი მოდელი, თათია ახალაია, მსოფლიო მოდის ბიზნესში სულ უფრო პოპულარული ხდება.

თათია სამოდელო სააგენტო იმიჯ ცენტრის მოდელია და სააგენტოს ხელშეწყობით სხვადასხვა ცნობილი დიზაინერის კოლექციების ჩვენებებში მონაწილეობს.

ერთ-ერთი ბოლო კოლექცია, რომლის წარდგენაც თათიას სხვა ცნობილ მოდელებთან ერთად დაევალა, დოლჩე და გაბანაა. მსოფლიოში აღიარებული ბრენდის ახალი კოლექციის რამდენიმე კოსტიუმში ქართველმა მოდელმა იპოზიორა.

ანიტა რაჭველიშვილი მოსახლეობას აქტიურობისკენ მოუწოდებს

ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი საქართველოს მოსახლეობას აქტიურობისკენ მოუწოდებს და იმ მნიშვნელოვან საკითხებზე ხმამაღლა საუბარს სთავაზობს, რომელიც რიგითი ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია:

– რამდენიმე წლის წინ მთავრობის ერთ-ერთ წევრთან გამართულ შეხვედრაზე ქალაქის გამწვანებისა და ყოფილი იპოდრომის ტერიტორიის თაობაზე მთავრობის ამ ერთ-ერთმა წევრმა მითხრა: არაფერს არ ვაკეთებთ, თუ ხალხისგან ამის მოთხოვნა არ მოდისო!

ხოდა, ხალხო, ვიაქტიუროთ, თორემ დაგვემხო, დაგვამხეს ქვეყანა თავზე.

ნიკა ნიკვაშვილი ქუჩის მუსიკოსების საკითხს ეხმაურება

პიანისტი ნიკა ნიკვაშვილი ეხმაურება ღამის ეკონომიკის ხელმძღვანელ სერგი გვარჯალაძის განცხადებას: „ქუჩის ზოგი მუსიკოსი მოქალაქეების ყურს ვნებს“.

– სადაც მართლა საჭიროა, ჯობია, ჯერ იქ დაარეგულოროთ! საინტერესოა, ყურს არ ვნებს ის, რაც ამდენი ხნის განმავლობაში ტელევიზიებში ხდება?! ყურს კი არა, შედეგად დაბალი მუსიკალური გემოვნების საზოგადოება და ათასობით გაურკვეველი „მუსიკოსი“ მივიღეთ!

დაწყებული სამთავრობო კონცერტებით, დამთავრებული მუსიკალური შოუებისა და კონკურსების 90% გაცილებით უფრო მავნებელია ყურისათვის, ვიდრე ქუჩის მუსიკოსები! ყველგან არაპროფესიონალიზმი და, ვისაც არ ეზარება, მუსიკალურ საკითხებზე გამოთქვამს თავის იდიოტურ, დილეტანტურ აზრს.

პ.ს. იქნებ ყველამ გააკეთოს ის, რაც იცის. დაანებეთ ამ საწყალ მუსიკას თავი და ქვეყანასაც რაღაც ეშველება.

შოთა იათაშვილი პოლონეთში დააჯილდოვეს

პოეტი შოთა იათაშვილი პოლონეთში დააჯილდოვეს. ქართველმა შემოქმედმა რენესანსის პერიოდის პოეტის კლემენს იანიცკის პრემია მიიღო.

შოთა იათაშვილი:

– პრეზენტაციაზე პოლონელებმა წიგნისათვის მოულოდნელად პრემიაც გადმომცეს. ეს კლემენს იანიცკი, რომლის სახელობისაცაა პრემია, რენესანსის პერიოდის პოეტი ყოფილა და ლათინურად წერდა თურმე.

რომის პაპს გადაუცია მისთვის მედალი და სემუელ კოლრიჯს მიაჩნდა, რომ ლათინურ ენაზე მთხზველ პოეტებს შორის ის ყველაზე ძლიერი იყო. ასე დამთავრდა ჩემი იტალიურ-პოლონური ტური.

დარეჯანის სასახლის აღდგენისთვის რამდენიმე მილიონი ლარი გამოიყოფა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო დარეჯანის ისტორიულ სასახლეში სარეაბილიტაციო აღდგენით სამუშაოებს იწყებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს თბილისის განვითარების ფონდი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ჩაატარებენ.

სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოებისთვის რამდენიმე მილიონი ლარი გამოიყოფა, მანამდე კი თბილისის განვითარების ფონდმა დარეჯანის სასახლის პროექტირებისთვის 250 ათასი ლარი გამოყო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

თაგვებმა ბანკომატში შეაღწიეს და ფული დაღრღნეს

თაგვებმა ნაწილობრივ გაანადგურეს ქაღალდის ბანკნოტები, რომლებიც ინდოეთში ერთ-ერთ ბანკომატში ეწყო.

ინციდენტი ასამის შტატის ქალაქ ტინსუკიაში მოხდა. ადგილობრივი პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბანკომატმა, რომელიც ინდოეთის სახელმწიფო ბანკს ეკუთვნოდა, 20 მაისს შეწყვიტა მუშაობა. რამდენიმე კვირის შემდეგ ბანკის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, ბანკომატი გაეხსნათ და შეემოწმებინათ. აღმოჩნდა, რომ ფულის დიდი ნაწილი თაგვებს გაენადგურებინათ.

სულ ბანკომატში 2 მილიონ 948 ათასი რუპია იდო. მღრღნელებმა მილიონ 238 ათასი რუპია გაანადგურეს.

ბანკომატში ძირითადად 500 და 2000 ნომინალის რუპიის ბანკნოტები იდო. ადგილობრივი გამოცემის მიერ გავრცელებული ფოტოსურათის თანახმად, თაგვებმა ბანკნოტები წვრილ ფრაგმენტებად დაანაწევრეს.

ამ დროისთვის საქმის მასალები პოლიციას აქვს გადაცემული და გამოძიება მიმდინარეობს.

ვირთხები შვედურ ქალაქს შეესივნენ

შვედურ ქალაქ სუნდსვალის მცხოვრებლები ვირთხების შემოსევას უჩივიან, რომლებიც, თვითმხილველთა მტკიცებით, მოზრდილი კატის ზომას აღწევენ.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალაქის ერთ-ერთი რაიონის მცხოვრებლები გააფრთხილა, რომ შესაძლოა ეს ცხოველები სახიფათონი იყვნენ. მოქალაქეებს ურჩიეს, კარი და ფანჯრები დაკეტილი ჰქონდეთ, ხოლო მოსწავლეები სკოლის შესვენების დროს გარეთ არ გამოუშვან. გარდა ამისა, შვედებს ურჩევენ, ვირთხების სახლში შეშვება არ დაუშვან და არ მისცენ საკვები. ქალაქში გაძლიერებულია მეთვალყურეობა საკვებ პროდუქტებსა და მის ნარჩენებზე.

მშობლებს, რომლის ბავშვებსაც ჯერ სასკოლო ასაკისთვის არ მიუღწევიათ, ურჩევენ მათ, ქუჩაში არ მისცენ საჭმელი და ასევე გარეთ დაძინებას მოერიდონ. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ანომალიურად დიდი ზომის ვირთხების შემოსევის მიზეზს უტილიზაციის ცენტრი წარმოადგენს, რომელიც სხვა ადგილზე გადასვლის პროცესში იმყოფება. ვინაიდან მისი ძველი ადგილსამყოფელი დაცარიელდა, მღრღნელებმა საკვების ძებნაში ქალაქს მიაშურეს. ჯერჯერობით ქალაქში 50 ხაფანგია დადგმული, მაგრამ ყოველი მათგანი მხოლოდ ორ ვირთხას იტევს, ამიტომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მღრღნელებთან ბრძოლის სხვა საშუალებებსაც განიხილავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.4578

ევრო — 2.8597

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2659

100 რუსული რუბლი — 3.8955

ამინდის პროგნოზი 25 ივნისისთვის

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

19 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის პირველი ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
მგლის ბილიკი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

22 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-2 ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
შავი ვარდი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-3 ტომი

იორამ ჩადუნელი
საზღაური
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

29 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-4 ტომი

რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

3 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-5 ტომი

ჯემალ ჩახავა
ქურდები და არიფები
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

იუმორი

●●●

კურორტზე ადგილობრივი ტურისტ გოგონას ეუბნება:

– გოგონი, ამაღამ საბანაოდ წავიდეთ!

– და ცურვა რომ არ ვიცი?

– არც არის საჭირო!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– მართალია, რომ ერთი წუთი სიცილი სიცოცხლეს ხუთი წუთით ახანგრძლივებს?

– ეგ იმაზეა დამოკიდებული, ვისზე იცინი... შეიძლება შეამციროს კიდეც...

●●●

ცოლი ქმარს თავს დასტრიალებს და სთხოვს, რომ კომპიუტერთან დასვას. ქმარი პასუხობს:

– წადი და სხვა რაიმე გასართობი მოძებნე.

– სხვა გასართობი როგორ მოვძებნო, როდესაც ჩემი ორი საყვარელი გასართობი, ქმარი და კომპიუტერი ერთმანეთს ეთამაშებიან?

●●●

ხალხით სავსე მეტროს ვაგონში მამაკაცი გვერდით მდგომ ქალს ეუბნება:

– აი იქ, მარცხნივ, სახელურია და იმას ჩაეჭიდეთ.

– გმადლობთ, მაგრამ უკვე ვნახე მოხერხებული სახელური.

– ვიცი, მაგრამ მე მალე ჩავდივარ.

●●●

თვითმფრინავის პილოტებს მიკროფონის გამორთვა დაავიწყდათ და მათი საუბარი მგზავრებს ესმით. ერთი მეორეს ეუბნება:

– მოდი, ჯერ ჩაი დავლიოთ და შემდეგ „სტიუარდესა“ ვიხმაროთ.

ამის გაგონებაზე „სტიუარდესა“ პილოტების კაბინისკენ გარბის, მაგრამ კართან მოხუცი ქალი აჩერებს:

– შვილო, ნუ ჩქარობ, ხომ გაიგე, ჯერ ჩაი უნდა დალიონ!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– საკვების გარეშე ერთი თვე შეიძლება იცოცხლო...

– ჰო, მაგრამ აზრი?

– უაზროდ მთელი ცხოვრება...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გუდ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

მუწუკები რუსი გოგონას სახეზე პარაზიტი არსება აღმოჩნდა

32 წლის რუსმა გოგონამ საკუთარ სახეზე უცნაური მუწუკები აღმოაჩინა, რომლებიც არ ქრებოდა და რომლებიც მის კანქვეშ ჩაბუდებული პარაზიტები აღმოჩნდა.

გოგონა ორი კვირის განმავლობაში ებრძოდა ლოყაზე გასიებულ ადგილებს. როდესაც მან რაღაც უცნაურობა პირველად შენიშნა, გამობურცული ადგილები თვალის ქვეშ იყო განლაგებული, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა ადგილი შეიცვალა.

10 დღის შემდეგ „მუწუკები“ გაქრა, მაგრამ შემდეგ გოგონას ტუჩი წარმოუდგენელ ზომამდე გაუსივდა. მისი თქმით, შესიებული ადგილები ექავებოდა, თუმცა სხვა სიმპტომები არ ყოფილა. ექიმებმა კვლევისას შენიშნეს, რომ გოგონას კანქვეშ რაღაც მოძრაობდა. მასში პარაზიტი-ჭიაყელა ამოიცნეს და მისი მოშორება ქირურგიული გზით მოხერხდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავად გოგონა აცხადებს, რომ გარკვეული დროის წინ ის სოფელში იმყოფებოდა, სადაც კოღოებმა დაკბინეს.

გოგონას კანქვეშ აღმოჩენილი პარაზიტი ხშირად გვხვდება ძაღლებსა და კატებში და მათი გადატანა კოღოს ნაკბენით ხდება.

პენსიონერებს მოწამლული ხორცით გაუმასპინძლდნენ

კანადის მოხუცებულთა სახლის მცხოვრებლებს გაუმასპინძლდნენ ხორცით, რომელსაც ხელების საწმენდი ტოქსიკური ნივთიერება ჰქონდა მოსხმული.

ინციდენტი სახელმწიფო დაწესებულებაში მოხდა, რომელიც პროვინცია სასკაჩევანში, კანადის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. დაწესებულებაში მუდმივად 35 მოხუცებული ბინადრობს.

მოხუცებულთა სახლის თანამშრომელმა ხელების საწმენდი სითხე სანელებლების კონტეინერში გადაასხა ისე, რომ მასზე ეტიკეტი არ შეუცვლია. მოგვიანებით ის სამზარეულოს ნიჟარაზე მოათავსეს. დაწესებულების მეორე თანამშრომელმა კონტეინერის შიგთავსი შემწვარი ხორცის ნაჭრებზე ისე მოასხა, რომ არ შეუმოწმებია.

– როგორც კი აღმოვაჩინეთ, რომ ხორცი გაფუჭებული იყო, ის გავანადგურეთ და არც მობინადრეებისა და არც თანამშრომლებისთვის საკვებად არ მიგვიცია, – ნათქვამია დაწესებულების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

იმ პენსიონერების ოჯახებს, რომლებმაც კერძის დაგემოვნება მოასწრეს, დაწესებულებამ ბოდიშის წერილები დაუგზავნა. მასში აღნიშნულია, რომ სადილის შემდეგ არც ერთ მობინადრეს მოწამვლის ნიშნები არ აღმოსჩენია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბრიტანელი გოგონა ანორექსიამდე დის საქორწინო კაბამ მიიყვანა



ბრიტანელმა გოგონამ საკუთარი თავი ანორექსიამდე იმის გამო მიიყვანა, რომ საკუთარი დის ქორწილში საგანგებო კაბაში სურდა გამოწყობილიყო.

კეტი სმიტმა დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ოლდემიდან წონაში 41 კილოგრამამდე დაიკლო. ამისთვის 15 წლის გოგონა დღეში მხოლოდ 100 კალორიას იღებდა, დღეში 40 აბ დამამშვიდებელს სვამდა და ქანცის გაწყვეტამდე დარბოდა. ამგვარად მან 28 კილოგრამი დაიკლო და ბავშვის ზომის ტანსაცმელს იცვამდა.

გოგონამ აღიარა, რომ, მართალია, არასოდეს იცვამდა S ზომაზე მეტს, მაგრამ ცურვაში მუდმივი ვარჯიშის გამო მას კუნთები საკმაოდ ჰქონდა განვითარებული და დაახლოებით 70 კილოგრამს იწონიდა. დის ქორწილამდე ის საკუთარი ფიგურით კმაყოფილი იყო, მაგრამ, როდესაც კაბა მოიზომა და ნახა, რომ ტანზე მეტისმეტად ჰქონდა შემოტმასნილი, საკუთარი გარეგნობა შეეზიზღა. იმისთვის, რომ მშობლებს მისი სიგამხდრე ვერ შეენიშნათ, გოგონამ ფართო ტანსაცმლის ტარება დაიწყო და ცურვას თავი დაანება.

– კუნთები გამუდმებით მტკიოდა და ვიყინებოდი, ამიტომ მრავალფენოვან ტანსაცმელს ვიცვამდი. როდესაც ვიბანდი, თმები მცვიოდა. ისინი ბალიშზეც რჩებოდა, – განაცხადა გოგონამ.

თავად ქორწილში კეტის არაფერი უჭამია, უბრალოდ, თეფშზე ეწყო და ჩანგლით ანაწევრებდა კერძებს, მშობლებისთვის თვალის ასახვევად. მან აღიარა, რომ თავს საშინლად გრძნობდა, კაბა რომ სძვრებოდა. საბოლოოდ გოგონა საავადმყოფოში აღმოჩნდა, სადაც მრავალთვიანი მკურნალობის შემდეგ წონაში მოიმატა და ახლა 64 კილოგრამს იწონის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. პერანგი; 4. ავსტრალიის ბინადარი ჩანთოსანი ცხოველი; 7. ლომების ოჯახი; 9. რისამე დაბეგვრის განაკვეთების ცხრილი; 11. ქამრის ლითონის ენიანი შესაკრავი; 12. ქიმიური ელემენტი; 13. თვითმფრინავების სადგომი; 17. სისხლის შენადედი; 18. ქალაქის „თავი“; 19. ჟანგბადის ნაკლებობა სისხლში; 20. ვულკანური ქანი.

შვეულად: 1. ასასვლელ-ჩამოსასვლელი საფეხურებიანი მისადგმელი; 2. მხედველობის ორგანო; 3. გაუშლელი ყვავილი; 5. მინანქარი; 6. მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი წირვა კათოლიკეებში; 8. ღია მსუბუქი ავტომობილი; 10. ლიმფური ჯირკვლების ანთება; 12. ბიზეს ოპერა; 14. წყვილთა ესპანური ცეკვა; 15. დესპოტი; 16. გამის პირველი ძირითადი ბგერა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ